# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 57 პარასკევი, 4 ოქტომბერი, 1918 წ. № 57


137


ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.



## ს ხელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. ნ. დ. ლევიცკის დირექცია.

პარასკევს, 4 ოქტომბრის 1918 წ.

ოპ. 4 მოქმ. „დუბროვსკი“ მუსიკა ნაპრავნიკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: კოლ-ლევიცკისა, იანსა, ოვსიანკოვისა, ზალიპსკი, პოლიაევი, ზუბარევი, ნიკოლსკი, დემიანენკო, ეზროვ, კურბატოვი. დირიჟორი—სამოსუდი. დასაწყისი 8 ს. შაბათს, 5 ოქტ.—„თანჰეიზერ“, 6 ოქტ.—„ტოსკა“, 7 ოქტ. „აიდა“.

552 1—1



## კონსერვატორიის დარბაზი.

გრიბოედოვის ქუჩა.

შაბათს, 5 ოქტომბერს გაიმართება

## გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო.

შაბათს 5 ოქტომბერს.

ბილეთები იყიდება წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში. 539 5—4



მე II-ე წელ. ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მე II-ე წელ.

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.

50—31 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.


## განცხადება.

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს. (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა, ლიტერატ. და საქართ. ისტ.) 2. ბუნების მეტყველებისა და მათემატიკისა.

ცნობად: 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლია ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტის პირველ კურსზე ოცი სტიპენდიატის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტიტ. კანცელარიაში დიდი მთავრის ქუჩა (Великокн. ул.) № 91.

ინსტიტუტის დირექტ. დ. ნ. უზნაძე.


კვირას, 6 ოქტომბერს დილის 12 საათზე, ფრეილინის ქ. № 11

## ქართულ-გერმანულ საზოგადოებაში

## შესდგება ლექცია

ბ-ნ თილოვან ვესტერჰაგენის შემდეგ თემაზე: ეკონომიური ვითარება ევროპაში ომის მიერ შექმნილ პირობებში და კავკასიის მნიშვნელობა ომის შემდეგ.

ლექციას თან სდევს ბუნდოვანი სურათები. ლექციის შემდეგ კამათი.

549 (1—1)



## ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.



* * *

1.

ისმინეთ ჩვენი მოწოდების ხმა  
სამშობლო ქვეყნის მოქალაქენო:  
ლატარიისკენ! ლატარიისკენ!  
არვინ ჩამორჩეთ თანამოძმენო!

2.

თუ ხელოვნებას ზიარებულხართ  
და თაყვანსაც სცემთ მის მფარველ ღმერთებს,—  
დაეხმარენით მის კეთილ მსახურთ,  
ვინც-კი საეროვნო საქმეს აკეთებს!

3.

ხალხო ქართველო! ერთის დღით მაინც  
თავი ანებე ნუნუას წვეთებს,  
გასწი გულ-უხვად ლატარიისკენ  
და მოაწერე ხელი ბილეთებს!

412 60—15


## ოფიციალური განყოფილება

### კ ა ნ ო ნ ი

სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირისა.

1. სახელმწიფოს კონტროლიორს დაენიშნოს ჯამაგირი დღიდან მისი არჩევისა ეროვნულ საბჭოს მიერ, თანახმად მთავრობის წევრთა შტატისა, წელიწადში 18.000 მან.

2. ამ კანონით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხა გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდგან.

1918 წ. სექტემბრის 27.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კ ა ნ ო ნ ი

ჯარისკაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თამბაქოს, პაპიროსისა და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის გაუქმებისა.

1. მოისპოს უაქციზოდ მიცემა წმინდა სპირტის, თამბაქოს, პაპიროსის, წუმწუმის და პაპიროსის ქაღალდისა ჯარის კაცთა საჭიროებისათვის, და მით გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში რუსეთის მთავრობის მიერ 1914 წლის აგვისტოს 1-ის და ოქტომბრის 7 და 1915 წლის თებერვლის 14 და ნოემბრის 29 გამოცემული ბრძანებანი და დადგენილებანი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა ეროვნულ საბჭოს მიერ.

1918 წ. სექტემბრის 27.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კ ა ნ ო ნ ი

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადებისა და ხარჯების დასაფარავ ფულის მიცემისა.

1. წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა გამოცხადებულ იქნეს სახელმწიფო სკოლად.

2. გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან ხსენებულ სკოლის მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავად ოცდა ათი ათას ოთხასი (30400) მანეთი.

1918 წ. სექტემბრის 24.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისა.

23 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 241.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: კავკასიის ფრონტის გზათა მიმოსვლის განსაკუთრებულ მთავარ-მართველობის საანგარიშო განყოფილების უფროსი ავქსენტი პავლეს ძე ტყემალაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის თარჯიმანი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იოსელიანი—შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწეებად, მათ შორის პირველი ამ წლის 5 ენკენისთვიდან.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ე ნ: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე მიხეილ ვლადიმირის ძე ჯავახიშვილი და იმავე კანცელარიის მოხელე ლიდა იულის ასული არენსბერგი, თანამდებობიდან და სამსახურიდან, თავისის თხოვნის თანახმად.

გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ქ მ ნ ე ს: სამინისტროს მოხელეთა სიიდგან შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე პეტრე გრიგოლის ძე ანთელავა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად დანიშვნის გამო ამა წლის 1 ენკენისთვიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გ. მ ა ხ ა რ ა ძ ე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრისა.

18 ენკენისთვე 1918 წ.

№ 52.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ა რ ი ა ნ: განჯის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი ვლადიმერ მენთეშაშვილი—სიღნაღის ოთხკლასიან გიმნაზიის დირექტორად ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

რის თანამდებობის აღმასრულებელი ველიონ შერვაშიძე—ვანის ოთხკლასიან გიმნაზიის დირექტორად, ამა წლის 20 ენკენისთვიდან.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ალ. მ დ ი ვ ა ნ ი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გზათა მიმოსვლისა და სასურსათო საქმის მინისტრისა.

19 ენკენისთვე, 1918 წ.

№ 16.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ  ი ქ მ ნ ე ნ: გაერთვნების გამო სასურსათო საქმის სამინისტროს კანცელარიის უფროსი იოსებ აბრამის ძე აფთექარი და მიმწოდებელ განყოფილების უფროსი მიხეილ მიხეილის ძე ტრუნოვი.

№ 17.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ  ი ქ მ ნ ე ნ: ამა წლის ენკენისთვის 13-დან დროებით კანცელარიის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი ერასტი ნესტორის ძე ფალავა—სასურსათო საქმის სამინისტროს კანცელარიის უფროსად 750 მან. ჯამაგირით და დროებით მიმწოდებელ განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი სოლომონ ივანეს ძე ადანაია—მიმწოდებელ განყოფილების უფროსად 750 მან. ჯამაგირით.

გზათა მიმოსვლისა და სასურსათო საქმის მინისტრი ივ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 4 ოქტომბერი.

თავისთავად ცხადია, რომ დღევანდელ ისტორიულ ამბების გავლენას ჩვენი რესპუბლიკა ვერსად გაექცევა, ბულგარეთის დამარცხება და მის მიერ გამოწვეული საერთაშორისო ცვლილება პირდაპირ თუ არა პირდაპირ იმოქმედებს ჩვენი სახელმწიფოებრივობის ვითარებაზე.

მაგრამ ეს ცვლილება სრულიადაც არ გამოიწვევს რაიმე შესამჩნევ რყევას ჩვენ საერთაშორისო ურთიერთობაში.

როცა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა დასახელმწიფოებრივი "sum" (ვარსებობ") სთქვა, მაშინვე ახალი მტკიცე ევროპიული გეზი აიღო და ახალ ორიენტაციას დაადგა—გერმანიას დაუკავშირდა.

მთელი მასუკანდელი ჩვენი ისტორია და საერთაშორისო მდგომარეობა ნათლად ღაღადებს და ადასტურებს ჩვენ მიერ აღებული გეზის სისწორეს, ახალი ორიენტაციის ღირსებას და დაკავშირების, დამეგობრების გულწრფელობას, სამართლიანობას და სახელმწიფოებრივ სარგებლიანობას.

ამ პოლიტიკამ იხსნა შინაურ ანარქიისაგან ჩვენი სამშობლო და ნორჩი თავისუფლება. ამავე პოლიტიკამ გადაგვარჩინა სრული განადგურებისაგან და მოგვაპოვებინა და გაგვამტკიცებინა ჩვენი დამოუკიდებლობა და საერთაშორისო მდგომარეობა.

ჩვენ აწიც შინ და გარეთ ამ ნაცადი გზით ვივლით, ამ გამოცდილ-გამობრძმედილი პოლიტიკის წარმოებას დავიდებთ სახელმძღვანელოთ როგორც შინაური სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების საკითხში, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში.

შინაური ურთიერთობის მოგვარება, სახელმწიფოებრივობის შექმნა-გამტკიცება და გაძლიერება, ერთის მხრით და დამოუკიდებლობის დაცვა და საერთაშორისო მდგომარეობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ურთიერთობაში ხელუხლებლობა, მეორეს მხრით—აი ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნილება დღეს. როგორც უნდა იტრიალოს საერთაშორისო პოლიტიკის ბედის ჩარხმა, ეს არის და იქნება ჩვენი რესპუბლიკის საზრუნავი საგანი, ჩვენი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მთავარი ძარღვი და კითხვათა კითხვა.

ჩვენ გუშინაც ვთქვით და დღესაც მოვახსენებთ, რომ ბულგარეთის დაცემა ან მისი გასვლა გერმანიის კოალიციიდან თავისთავად არც ზავის მომა წავებელია და არც ამ კოალიციის დაუძლურების და დამარცხების მაჩვენებელი.

კავშირის ერთი, ისიც ყველაზე სუსტი, [illegible] ური განადგურება რომ თვით კავშირის განადგურებას ნიშნავდეს ინგლის-საფრანგეთის კოალიციას ამდენ ხანს უნდა დაეყარა იარაღი, რადგან ამ კოალიციას დაშლილ-დარღვეული რუსეთის სახით უდიდესი წევრი მოსწყდა.

გარდა ამისა ერთი და ორი შეტევა ან უკან-დახევა როდი სწყვეტს ომის ბედს საბოლოოდ. გერმანიამ ამ ომის განმავლობაში უარესი დღე ნახა. ეს იყო რუმინიის გამოსვლა, ბრუსილოვის შეტევა, სოიაზე დამარცხება და სხ. მაგრამ მაშინ არც ერთს სერიოზულ კაცს არ უფიქრია გერმანიის დამარცხებაზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

რაღა თქმა უნდა, საქართველოს რესპუბლიკა ზავის, ნამდვილი საერთაშორისო ზავის მომხრეა. ის მთელ თავის ძალღონეს ამ კაცობრიობის მხსნელი ზავის ჩამოგდებისაკენ მიმართავს.

მაგრამ ის ამავე დროს ყოველთვის მზად უნდა იყოს მოსალოდნელ განსაცდელის დასახვედრად და თავის დამოუკიდებლობის და არსებობის დასაცავად.

როგორც უნდა წავიდეს საქმე, რა მიმართულებაც უნდა მიიღოს ომმა და საერთაშორისო ვითარების ხასიათმა. ჩვენმა რესპუბლიკამ, ჩვენმა დემოკრატიამ უპირველეს ყოვლისა თავის შინაური ფრონტი, თავის სახელმწიფოებრივი წესწყობილება და თავისუფლება უნდა ამტკიცოს და ამაგროს.

პირველყოვლისა აუცილებლად საჭირო სამხედრო ძალა მალე შევქმნათ და სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ. ჩვენ ყოველ შემთხვევაში გვჭირია თავდასაცავი მოსაგერებელი ძალა. როცა ირგვლივ თითქმის ყველა იღრინება და მოსალოდნელია საყოველთაო შემოსევა, სხვა გზის გამონახვა, სხვა პასუხი ყოვლად წარმოუდგენელია.

და აი ამიტომ ჩვენი ჯარის საკითხი ჩვენი ყოფნა-არყოფნის, ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხია. ის არის და, იმედია, ახლო მომავალში კიდევ უფრო იქნება უდიდესი გარანტია ჩვენი სახელმწიფოებრივობის და თავისუფლების.

ისტორიამ იცის ისეთი მომენტები, როცა ხალხის ყველა სასიცოცხლო ძალები ერთიანდება თავის გადარჩენის და თავისუფლების უზრუნველყოფის ნიადაგზე, ივიწყებს დროებით შინაურ შფოთს, რომ საერთო ხალხური სიკვდილი და განადგურება აიცილოს თავიდან, დარაზმული გამოდის მოძალადე მტრის მოსაგერებლად, რომ მისი ბედი არ დაემზგავსოს იმ დაღუპული ხალხის ბედს, რომლის შესახებ მომავალში შეიძლება მხოლოდ მკვდარი ისტორიული წარწერანი მეტყველებდეს ან, გუმბოლტის არ იყოს, სადმე თუთიყუშის მიერ განმეორებული მისი სიტყვები მოწმობდეს.

საქართველო ასეთს ისტორიულ მომენტში ცხოვრობს დღეს. და უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი ჩვენი ხალხი, ყველა ჩვენი ცხოველ მყოფელი საზოგადოებრივი ძალები, ყველა სასიცოცხლო და მომავალის მატარებელი კლასები თუ ჯგუფები საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი დემოკრატიის სახელმწიფოებრივი დროშის ქვეშ დადგება და საერთო სანსხვერპლოზე მთელი ძალღონის გატანით აალდენს რესპუბლიკას ყოველივე ხიფათს, იხსნის სამშობლოს და გადაარჩენს კულტურას და თავისუფლებას.

როგორც დეპეშები გადმოგვცემს ბულგარეთმა თითქოს ზავი უკვე შეკრა ინგლისის კოალიციასთან. ეს თუ მართალი და საბოლოო ამბავი გამოდგა, უმთავრესად ოსმალეთი ვარდება სახიფათო მდგომარეობაში და შესაძლებელია ამ მხრით ოტომანის იმპერიის საქმეთა ვითარებაში ცვლილებანი მოხდეს. ჩვენ ამ შესაძლებელ ცვლილებათა მოლოდინსაც უნდა გაუწიოთ ანგარიში და კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი სახელმწიფოებრივი სანგრების შენება და ჩვენს მოკავშირეებთან ურთიერთობის გამტკიცება.

უნდა იცოდეს, რომ ბულგარეთის ამბავი ჩვენს შინაურ და გარეულ მტრებს ახარებს. ისინი მოხერხებულ შემთხვევას ეძებენ, რომ აგვირიონ შინაური ცხოვრება და დაგვცენ საერთაშორისო ურთიერთობაში.

ჩვენ მათ ახლავე უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და დავანახვოთ ყველას ფაქტით, მოქმედებით, საქმიანობით, რომ ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა ისტორიული და ორგანიული აუცილებლობაა, რომელიც ისე ადვილად და საერთაშორისო კომპასის უბრალო ქანაობით არ დაირღვევა, როგორც ეს ჩვენი თავისუფლების მტერთა შავს ბანაკს ეჩვენება.

იერინგი ამბობს, რომ ყოველი ადამიანი დაბადებით თანდაყოლილი მებრძოლია თავისუფლებისთვის. ჩვენ ვიტყვით, რომ თვითეული თავის მცნობი და კულტურული ერი ბუნებრივი მებრძოლია თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის. და თუ მას ხელმძღვანელობს გაწრთვნილი და შეკავშირებული დემოკრატია, მისი ვინაობის და რაობის დაცვა და ხელუხლებლობა ათასწილ უფრო უზრუნველყოფილია.

ქართველი ხალხი და მისი დემოკრატია თავისი ბრძოლით და სწორი პოლიტიკის ფრთხილი წარმოებით დაამტკიცებს, რომ მას ღრმად ესმის თავისუფლების მნიშვნელობა და სავსებით აწონილდაწონილი აქვს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობის სირთულე.

## საუბარი პროფ. ცუმაიერთან

პალესტინის ფრონტი.

ოსმალეთის ჯარმა ამ ფრონტზე ცოტაოდენათ ამ უკანასკნელ დროს უკან დაიწია. ჯერ აქ სერიოზული საფრთხე ოსმალეთს არ მოელის, მხოლოდ თუ საჭიროებამ მოითხოვა, გერმანია შესძლებს აქაც გაგზავნოს საჭირო დამხმარე ჯარი.

ავსტრო-უნგრეთის მიმართვა ზავის ჩამოგდების შესახებ.

ამ კითხვის შესახებ ჩვენ ვიცით მხოლოდ შემდეგი: ინგლისმა ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყებაზე უარი განაცხადა. ლოიდჯორჯმა დიდი აგიტაცია გასწია, რათა ავსტრო-უნგრეთის წინადადებაზე ინგლისის მთავრობას უარი განეცხადებია. ამნაირად კაცობრიობის სისხლის დაღვრის გაგრძელებაში ისტორიის წინაშე ჩვენი მტრები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი და არა ჩვენ.

რუსეთის დღევანდელი ვითარება.

საერთოდ რუსეთის მდგომარეობა ამ უკანასკნელ დროს არ შეცვლილა, მხოლოდ ჩეხო-სლოვაკებმა, როგორც ეს ცნობებიდან სჩანს, რამდენიმე ალაგას ბრძოლა წააგეს. უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთში, როგორც ჩრდილოეთიდან ინგლისელების წინსვლა, ისე ჩეხო-სლოვაკების მოძრაობა უნდა შეჩერდეს, რადგანაც ზამთრის დაწყების გამო, ყოველგვარი სამხედრო მოქმედება საზოგადოთ მეტად გაძნელდება.

ხშირად გვეკითხებიან: როგორ მოხდა, რომ იმპერიალისტური გერმანია თითქმის მოკავშირეა უკიდურეს სოციალისტურ ბალშევიკურ რუსეთისა. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ერთგვარი დამოკიდებულება გვაქვს ბალშევიკებთან იმიტომ, რომ სწორედ ისინი არიან დღეს „ველიკოროსიის“ მთავრობა და რადგანაც ჩვენ „ველიკოროსიასთან“ საომარ განწყობილებაში ამ ჟამად არ ვიმყოფებით, ჩვენ არ გვაქვს არავითარი საბუთი ამ მთავრობასთან რაიმე მტრული დამოკიდებულება ვიქონიოთ. არ გვაქვს უფლება აგრეთვე ჩავერიოთ მათ შინაურ საქმეებში. ამიტომ ჩვენ „ბალშევიკების“ მოკავშირე კი არა ვართ, არამედ მხოლოდ ერთგვარი, საერთაშორისო უფლებებზე დამყარებული, დამოკიდებულება გვაქვს მათთან.

გენერალი ალექსეევი და მთელი მოხალისე ჯარი, როგორც ამას წინეთ მოგახსენეთ, ჩვენთან კეთილ-განწყობილებაში არის და ნეიტრალიტეტს დაიცავს ჩვენი ჯარის, ინგლისელებთან ბრძოლის დროს.

ბაქოს ვითარება.

ბაქოს მომავალი ბედი, ისე როგორც წინეთ, ეხლაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადასწყვეტენ ამ მეტად რთულ საკითხს ბერლინში, სტამბოლში და მოსკოვში. ხმები, რომელნიც გავრცელდა ტფილისში, ვითომც ოსმალეთს და გერმანიის შორის [illegible] შეთანხმება, რომლის ძალით ბაქო [illegible] არა დროებით მაინც გერმანელებს უნდა გადავიდეს, ეს ხმები სრულიად უსაფუძვლოა. არავითარი შეთანხმება ამის შესახებ ჯერ არ მომხდარა.

ფონ-დერ-გოლცს დააგვიანდა ბაქოში ჩასვლა არა იმის გამო, ვითომც მის და ადერბეიჯანის მთავრობის თუ ოსმალეთის ჯარის შორის რაიმე გაუგებრობა მომხდარიყოს ან ფონ-დერ-გოლცს მიეღოს ესა თუ ის განსაკუთრებული ბრანება ბერლინიდან, არამედ იმიტომ დააგვიანდა მას, რომ შამხორსა და განჯას შუა რკინის გზა იყო გაფუჭებული. ეს უკანასკნელი კი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ადერბეიჯანში მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა უარი განაცხადა ჯარში გასვლაზე იმ მობილიზაციის ძალით, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინეთ იყო ადერბეიჯანში გამოცხადებული, სწორეთ ამ ნაწილმა გააფუჭა რკინის გზა დასახელებულ რაიონში. ეხლა გზა უკვე შეკეთებულია და ფონ-დერ-გოლცი ბაქოში გაემგზავრა.

ხმები ინგლისელების მიერ ალიათში დესანტის გადმოსხმის შესახებ.

ქალაქში გავრცელდა აგრეთვე ხმები, ვითომც ინგლისელებმა ალიათში დესანტი გადმოსხეს და ოსმალეთის ჯარს, რომელიც ბაქოსა და მის ახლოს სდგას, უკან დასახევი გზა მოუჭრესო. ეს ხმები არ შეიცავენ სიმართლეს. პირიქით ბაქოს მდგომარეობა ამ მხრით სრულიად უზრუნველყოფილია. ოსმალოს ჯარს ბაქოსა და მის ახლო მდებარე ადგილებში აქვს შორს მანძილზე მსროლელი ზარბაზნები, რომლის შემწეობით ინგლისელების მოგერიებას ოსმალები ყოველთვის შესძლებენ.

ადერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი.

გვაქვს ცნობები მიღებული იმის შესახებ, რომ ადერბეიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში ოსმალეთმა უკვე გადასდგა საჭირო ნაბიჯი და უნდა მოველოდეთ, რომ ოსმალეთი, ახლო მომავალში ოფიციალურად იცნობს თავის მხრით როგორც ადერბეიჯანს ისე სომხეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. შეიძლება აგრეთვე მალე იცნონ ეს სახელმწიფოები დამოუკიდებელ რესპუბლიკებად ცენტრალურ სახელმწიფოებმაც, მხოლოდ რა გზას დაადგება ამ საკითხში შემდეგში რუსეთი, რომელიც ჯერჯერობით მაინც უარზეა, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ რამე გადაჭრილად.

საქართველოში უკრაინიდან პურის შემოტანა.

ფოთში უკრაინიდან პური უკვე მოიტანეს. ეს ფაქტია, რომლის დამოწმება მე გადაჭრით შემიძლია. მხოლოდ საჭიროა რომ დაჩქარებით იქნეს მოტანილი მეორე, მესამე და შემდეგი პარტიები პურისა. ამნაირად როცა ფოთში მოიყრის თავს პური საკმაოდ, მაშინ უნდა გაუნაწილდეს ის ხალხს შედარებით იაფ ფასებში. პირველი პარტია პურისა რომ ეხლავე ხალხს მივცეთ, იმ შემთხვევაში სულ ცოტა ხანს დავაკმაყოფილებთ მას, მხოლოდ მალე გამოილევა, და ისევე ძვირ ფასებში მოუხდებათ პურის ყიდვა, მანამდე არ მოვა მეორე პარტია. ამიტომ საკმაო პურის საქართველოში მოსატანათ საჭიროა, რასაკვირველია, დრო, მხოლოდ ვიმედოვნებთ, რომ ეს დრო მალე დადგება.

ხმები გერმანიის ჯარის საქართველოდან გასვლის შესახებ,

რომელ წყაროებიდან სარგებლობენ ჭორების მთხზველნი ამ შემთხვევაში, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია. გერმანიის ჯარი საქართველოში შემოვიდა თვით ქართველების მოწვევით, რათა გერმანიას გაეწია დახმარება საქართველოსათვის. სანამ საქართველოს საჭიროება მოითხოვს გერმანიის ჯარის აქ ყოფნას და სანამ ამ საჭიროებას სცნობს გერმანიის და საქართველოს მთავრობა, მანამდე გერმანიის ჯარიც დარჩება საქართველოს ტერიტორიაზე და ის თავის მოვალეობას ისე, როგორც ყოველთვის და ყველგან, აქაც პირნათლად შეასრულებს.

საქართველოს საერთო ვითარება.

ჩვენი შეხედულებით და დაკვირებით საქართველოს საერთო მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება.

საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ რესპუბლიკად სხვა სახელმწიფოების მიერ ოფიციალურად აღიარება და შიგ ანარქიის მოსპობა—ეს ორი ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლის გვერდის ახვევა ცოტათი მაინც დაკვირვებულ პოლიტიკურ მოვლენათა მეთვალყურესათვის შეუწყნარებელია. ერთი ამ ფაქტორთაგანი ამტკიცებს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას, მეორე კი ჰქმნის იმ ნიადაგს, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს მისი მომავალი, მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნა-გაძლიერება.

დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრესის მიმოხილვა.

განსაკუთრებულ მძიმე პირობებში იმყოფება საქართველოს რესპუბლიკა. ყოველ მხრივ გარს ცეცხლის რგოლები აქვს შემოკრული და შთანთქვას უპირებენ. მსოფლიო ომმა გეენის ცეცხლში ამოხრაკა მრავალი მილიონი ჯანსაღი ადამიანი, გაანადგურა ხალხის კეთილდღეობა და ძირს დასცა პატარა ერები. გადაიარეს ბელგიის, ჩერნოგორიის, სერბიის და სხვათა გულზე, დაგლიჯეს ისინი. საქართველოსაც არ დაადგა კარგი დღე. მანაც იგემა საშინელი სუსხი მსოფლიო ომის უბედურებისა, მაგრამ ბრძნული პოლიტიკის შემწეობით მან შესძლო მაინც თავის გადარჩენა და ფიზიკური არსებობის შენარჩუნება. მაგრამ პირობები ყოველ წამს იცვლება. მდგომარეობა საერთოდ განმტკიცებული არ არის და საერთაშორისო პირობებში ვინმეს წაფორხილება არსებითად სცვლის საქმეს და თავის დაღს ასვამს ჩვენს არსებობას. გაზეთი „ერთობა" ეხება ამ მოვლენას და სწერს:

„საქართველოს გარშემო ჯერ კიდევ არ გაწმენდილა ცის კამარა, შავი ღრუბლები კვლავ გროვდებიან. და სანამ ეს მსოფლიო ომი არ დამცხრალა, ამ ღრუბლების გაფანტვაზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა. ეს უნდა კარგათ შეიგნოს ჩვენმა დემოკრატიამ. ბევრი საფრთხე გვიდგას ჯერ კიდევ წინ, არა თუ ჩვენი შინაგანი რევოლუციური დუღილი არ დამთავრებულა, არამედ გარედან, მსოფლიო ომით მოდებული ალიც არ მოგვშორებია. ჩვენ ჯავშიაც კი ომში ვიმყოფებით. ომია ჩვენს გარშემო, ომია ჩვენს გამო, ომი თავის დაღრენილი პირით შემოგვცქერის და შთანთქმას გვიქადის.

არ შეიძლება ითქვას, ხვალ როგორი იქნება ძალთა განწყობილება. არ ვიცით, ვინ იქნება მტერი, ვინ მოკავშირე, მხოლოდ შინაური სიმაგრე და გონიერი პოლიტიკური ხელმძღვანელობა გვიხსნის ასეთ მდგომარეობიდან და გადაარჩენს ჩვენს პატარა ნავს ომის მღელვარე ზღვის ტალღებში შთანთქმისაგან."

რაში გამოიხატება შინაური სიმაგრე?—ძალაში. ძალა კი იქმნება ჯარის სახით. გონიერი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ძალა, რომლითაც შევძლებთ დავიცვათ თავი—აუცილებელია ჩვენი თავდაცვისათვის. ასე ესმის „ერთობასაც":

სამხედრო ძალა, გაწვრთნილი ჯარი, აი რა გვიხსნის ჩვენ განადგურება-აოხრებისაგან. ვინც გაითვალისწინებს დღევანდელ მესხეთ-ჯავახეთის ხვედრს, ვინც არ არის გულქვა და მოუსმენს დედებს, რომლებმაც დაკარგეს შვილები, ბავშვებს, რომელთაც ვერ უპოვიათ დედები, ის იარაღით ხელში ჩადგება ჯარში და მხოლოდ თავისი ქვეყნის უბედურობისაგან ხსნას ემსახურება.

* *
*

საქართველოს ეროვნულ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გამოცხადდენ ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლები. საბჭო თბილად და აღფრთოვანებით შეხვდა მათ. ეს იყო ნიშანი ერთა სოლიდარობისა და სიყვარულისა, რომელიც მომავალში სავსებით უნდა განმტკიცდეს. პრესაც, რასაკვირველია, გამოეხმაურა ამ დიად მოვლენას და სიმპატიით აღნიშნა იგი. ყველა ერთხმად მოწადინებულია, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა გასწიონ ნამდვილი მუშაობა სახელმწიფოს გამაგრებისათვის. გაზ. „შრომა" სწერს:

საქართველოს პარლამენტი მხურვალედ მიესალმა თავის ახალ წევრებს და აღტაცებით მოისმინა მათი წარმომადგენლის სიტყვა. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ პარლამენტის ახალი წევრები მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას საქართველოს დემოკრატიის სახელმწიფოებრივ საამშენებლო მუშაობაში და იმ ტაქტიკით და პოლიტიკური სიბრძნით, რომელიც შეჰფერის მომენტსა და მათ გამომგზავნ დემოკრატიას, ხელს შეუწყობენ საქართველოს ერებს შორის ძმური კავშირის განმტკიცებას...

სალამი მხურვალე და წრფელი საქართველოს პარლამენტის ახალ წევრებს!

გაუმარჯოს საქართველოს ერების სოლიდარობას!

* *
*

გაზეთი „საქართველოც" ეხება ამ საკითხს; აღნიშნავს მათ გამოსვლას და დასძენს:

„ის გზა, რომელსაც დაადგა საქართველოს სომხობა, ჩვენი სახელმწიფოს აღშენებისა და განმტკიცების ხელის შემწყობია.

ქართველი ხალხი სალ სახელმწიფოებრივ გარდაწყვეტილებად ჩასთვლის სომხების აქტიურ პოლიტიკურ გამოსვლას ჩვენს ცხოვრებაში და თანხმობით იმუშავებს საქართველოში ერთა სოლიდარობის დამყარებისათვის.

იმედია, სომხის ერის წარმომადგენლის დიდმნიშვნელოვან საპარლამენტო სიტყვასთან დაერთვის სომეხ-დეპუტატების პრაქტიკული მოღვაწეობაც საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლოდ".

თავის სიტყვაში, სომეხთა წარმომადგენელმა დაგიო-ხანიანმა სთქვა:

„ჩვენ მოვედით აქ არა იმისთვის, რომ მარტო ჩვენი კულტურული და ეროვნული მისწრაფებანი განგვეხორციელებინა და დაგვეცვა, არამედ იმისთვისაც, რომ ერთად შევებათ იმ უღელში, რომელიც ხელს შეუწყობს და განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას და გაუადვილებს მას აყვავებას. (ტაში) ჩვენ შეგნებული გვაქვს დღევანდელი მდგომარეობა და გვწამს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო შესაფერად უძლევება ისტორიისაგან დაკისრებულ მოვალეობას. ჩვენც ამ შეგნებით მოვედით თქვენთან ერთად სამუშაოდ და ოლოლდა... რობის განსამტკიცებლად". ... ჩვენა დიდი სურვილიც სწორედ ისაა, რომ ეს ასე იქმნეს და მაშინ ხელი-ხელ ჩაკიდებული ერები შეერთებული ძალღონით გასწევენ პროგრესის გზაზე უკეთეს მომავლისაკენ.

# ეროვნული საბჭო

**მე-35 სხდომა**

**სამშაბათი, 3 ენკენისთვე 1918 წ. ტფილისი, სასახლე.**

თავმჯდომარე. გთხოვთ, ბატონო მომხსენებელო, წაიკითხოთ მესამე მუხლი.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს მე-3 მუხლს) განათლების მინისტრის ამხანაგი არის უახლოესი თანაშემწე მინისტრისა და ასრულებს მის თანამდებობას, მის არ ყოფნის ანუ ავადმყოფობის დროს.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) განათლების მინისტრის საბჭო.

მეოთხე მუხლი. განათლების მინისტრის საბჭო შესდგება მინისტრის თავმჯდომარეობით—მინისტრის ამხანაგებისაგან, სამ განყოფილებათა მთავარ გამგეებისგან, სამინისტროს კანცელარიის დირექტორისაგან, უნივერსიტეტის, ქალაქის და ერობა-თვითმართველობათა კავშირისაგან და აგრეთვე მასწავლებელთა კავშირის თითო წარმომადგენლებისაგან და იმ სპეციალისტებისაგან, რომლებთა მოწვევას საჭიროდ დაინახავს განათლების მინისტრი.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) შენიშვნა I. მინისტრი, მისი ამხანაგი, სამ განყოფილებათა მთავარ-გამგეები და კანცელარიის დირექტორი არავითარ დამატებით ჯილდოს არ ღებულობენ საბჭოს წევრობისათვის.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია. შემდეგი.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) შენიშვნა II. ყველა დანარჩენ საბჭოს მუდმივ თუ განსაკუთრებით მოწვეულ წევრებს, რომლებიც დაესწრებიან სხდომებს, მიეცემათ მინისტრის მიერ განსაზღვრული ჯილდო.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე მიღებულია.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) მუხლი მე-5 განათლების მინისტრის საბჭოს ევალება განსახილველად

ა) საერთო ყოველ წლიური ხარჯთ-აღრიცხვა განათლების სამინისტროსი;

ბ) ყოველ წლიური ანგარიშები, როგორც სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებისა, აგრეთვე ყველა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა, რომლებიც განათლების სამინისტროს განკარგულებაშია;

გ) საქმეები და მოსაზრებანი, რომელნიც მოითხოვენ ან ახალ დაწესებულებათა დაარსებას ან მართვა-გამგეობის სხვა და სხვა ნაწილის არსებითს ცვლილებას;

დ) კანონების დამატება, შესწორება, განმარტება და გაუქმება;

ე) ახალ სასწავლებელთა ორგანიზაცია და დაარსება;

ვ) საოჯახო საქმეები, რომელთა გადაწყვეტა ალემატება განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ პირთა და დაწესებულებათა უფლებას.

ზ) საქმეები, რომლებიც შეეხებიან სასწავლებელთა შინაგან წესწყობილებას და შინაგან მართვა-გამგეობას;

თ) საქმეები, რომლებიც აღიძვრებიან სამინისტროს პრეტენზიების გამო კერძო პირთა ან დაწესებულებათა მიმართ, ან წინააღმდეგ—კერძო პირთა და დაწესებულებათა პრეტენზიების გამო სამინისტროს მიმართ.

ი) საერთოდ ყველა საქმეები, რომელთაც საბჭოს განსახილველად განათლების მინისტრი საჭიროდ დაინახავს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია. უკაცრავად სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ფაჩუაშვილს.

მიხ. ფაჩუაშვილი (ს. რ.) აქ არის ბატონებო, მინისტრის საბჭოს ფუნქციები, შეიძლება ეს სარედაქციო შეცდომა იყოს, ან და გაუგებრობა ზოგი ალაგისა, მე ვფიქრობ, რომ ამას ცოტა განმარტება სჭირია. მაგალითად, აქ არის ნათქვამი: მინისტრის საბჭოს ევალება განსახილველად: კანონების დამატება, შესწორება, განმარტება და გაუქმება; აქედან გაუგებრობაა: ამას მინისტრის საბჭო ასრულებს და თითონ მინისტრი აკეთებს თუ კანონმდებლობა. აქ რომ იყოს ნათქვამი: ეს იქნებოდა წინასწარი მოსაზრება მაშინ ეს გასაგები იქნებოდა. მაგრამ აქ პირდაპირ არის ნათქვამი: განათლების მინისტრის საბჭოს ევალება განსახილველად: კანონების დამატება, შესწორება და განმარტება და გაუქმება. თუ ეროვნულმა საბჭომ კანონი გამოსცა და მინისტრის საბჭომ გააუქმა, ეს ცოტა უხერხული იქნება, კანონის განმარტებისთვის სხვა ორგანო იქნება საჭირო, როგორც რუსეთში სენატი მართავდა კანონებს. როცა ჯერ ჩვენ არა გვაქვს შემუშავებული კონსტიტუცია, არა გვაქვს ძირითადი კანონები, ამ მუხლმა შეიძლება გაუგებრობა შემოიტანოს. მესამე მუხლში ნათქვამია: საქმეები და მოსაზრებანი, რომელნიც მოითხოვენ და შემდეგ დონში ნათქვამია: კანონების დამატება, შესწორება, განმარტება და გაუქმება. აქ ამ ორი მუხლის შორის წინააღმდეგობაა და შეიძლება ამას არევდარევა მოჰყვეს. ამაზე შეიძლება კომისიის წევრმა ან სხვა ვინმემ განმარტება მოგვცეს.

თავმჯდომარე. უკაცრავად, მაშასადამე რომელ მუხლის შესახებ.

ფაჩუაშვილი. დონის შესახებ. აი აქ სწერს (კითხულობს) განათლების მინისტრის საბჭოს ევალება განსახილველად: „კანონების დამატება, შესწორება, განმარტება და გაუქმება".

განმარტეთ რას ნიშნავს ეს.

ნოე ცინცაძე. საქმე ის არის, ბატონებო, რომ ეს საბჭო სათათბირო ორგანოა, ამ საბჭოს აქვს საქმე განხილვასთან მხოლოდ წინასწარ განხილვასთან. თავის თავად ცხადია, რომ კანონის გამოცემა მინისტრის საბჭოს არ შეუძლიან, არც მინისტრს შეუძლიან. აქ ის აზრია, რომ განათლების მინისტრის საბჭოს ევალება განხილვა: კანონების დამატებისა, შესწორებისა და სხვა. შეიძლება რედაქცია შესცვალოთ ცოტათი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აზრი ერთია—წინასწარი განხილვა. აი ამ კანონს, მაგალითად, ამ კანონს ესაჭიროება დამატება. აქ კი არის სათათბირო ორგანო, რომელიც განიხილავს და განმარტავს. მერე, რასაკვირველია, ჩვეულებრივი კანონმდებლობის გზით უნდა გამოიცეს. აქ საბჭოში შემოვა, მერე საფინანსო კომისიაში გადავა და ასე. მაშასადამე რადგან მთავარ მუხლში ნათქვამია: განათლების საბჭოს ევალება განხილვა კანონებისა, თავისთავად ცხადია აქ იგულისხმება წინასწარი განხილვა.

თავმჯდომარე. შესწორება არავის შემოუტანია. განმარტება იყო. მაშასადამე მე კენჭს ვყრი. ვინ არის წინააღმდეგი მეხუთე მუხლისა? არავინ. მაშასადამე მეხუთე მუხლი მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) სახალხო სკოლების განყოფილება. მუხლი მე-6. სახალხო სკოლების განყოფილების სათავეში სდგას მთავარი გამგე სკოლებისა.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) მუხლი 7. ამ განყოფილების მთავარ გამგეს ევალება საქმეები, რომლებიც შეეხებიან სახალხო სკოლებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში:

ა) შემუშავება და შედგენა სკოლების ხარჯთ-აღრიცხვისა;

ბ) სახალხო სკოლების ადმინისტრატიული რევიზია;

გ) სახალხო სკოლების პედაგოგიური რევიზია;

დ) შემუშავება მოსაზრებებისა სახალხო სკოლების რეორგანიზაციისა;

ე) გამგეთა და მასწავლებელთა დამტკიცება, თანახმად იმ წესისა, რომელიც იქნება განსაზღვრული სახალხო სკოლების ძირითად კანონში.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. უკაცრავად, შესწორება ჰსურთ. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ფაჩუაშვილს.

მიხ. ფაჩუაშვილი. (ს. რ.) ბატონებო, მე უკვე მოგახსენეთ ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა ჰქონდეს ამ კანონში ადგილი ისეთ რამეს, რომელიც თავის თავად წარმოადგენს წინასწარმეტყველებას, რაც წინასწარ სწყვეტს მართვა-გამგეობის საკითხს. ჩემი აზრი, ჩემი განცხადება, მომხსენებელმა ცინცაძემ წინასწარმეტყველებად გახადა მწვრილ კრებაზე, თუმცა ამის საბუთი არ ჰქონდა. მე არც მითქვამს, რომ ამ კანონ-პროექტით ჩვენ გამოვაცხადებთ, ჩვენ ვადასტურებთ სკოლის ავტონომიას. მე ვსთქვი მხოლოდ, რომ რევოლუციამ სასწავლებლებს მიანიჭა ეს უფლება, ამის შესახებ არსებობს კანონი, რომელიც ჯერ-ჯერობით უარყოფილი არ არის. მაგრამ მე მაშინ არ მითქვამს, რომ ეხლა, როცა ლაპარაკია მხოლოდ სამინისტროს ორგანიზაციაზე, შტატებზე, ეხლა იქმნეს შემოტანილი შესწორება ძირითად კანონის ხასიათისა. რასაკვირველია, ბატონ ცინცაძემ ისიც სთქვა, თითქოს ჩვენ სხვანაირად გვესმის ეს ავტონომია, თუმცა ჩვენ ავტონომია თავიდანვე სხვანაირად გვესმოდა, როგორც ბევრი სხვა საკითხი. მაგრამ საქმე ამაში არ არის. ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. საქმე ის არის, რომ აქ სულ სხვა რამეზე არის ლაპარაკი. აქ არის ლაპარაკი იმაზე, რომ წინასწარ გადაჭრა-გადაწყვეტა იმ საკითხისა, რომელიც ძირითად საფუძველს წარმოადგენს, არ უნდა იყოს სკოლის მართვა-გამგეობის საკითხი; ამ კანონში არ უნდა იყოს შემოტანილი. იქნება მართვა-გამგეობა ერობის ხელში, სამინისტროს, თუ სხვა ვისიმეს ხელში, მაინც და მაინც საჭიროა არსებობდეს სამინისტრო, რომ ეს სამინისტრო იყოს მთავარი ხელმძღვანელი სახალხო განათლებისა. ეს გასაგებია. აქ ამ სამინისტროზე ლაპარაკი, აქ კი მეშვიდე მუხლის შენიშვნა „ენ"-ში, ისეთ რამეზე არის ლაპარაკი, რომელიც წინასწარ სწყვეტს სკოლის მართვა-გამგეობის საქმეს. აქ არის ნათქვამი, რომ მართვა-გამგეობის საქმეა (კითხულობს 9 მუხლს) გამგეთა და მასწავლებელთა დამტკიცება, თანახმად იმ წესისა, რომელიც იქნება განსაზღვრული სახალხო სკოლების ძირითად კანონში. აქ იყო ნათქვამი, თითქოს წინასწარ ვიცით, რომ ასეთი კანონი გამოცემული იქნება და დადასტურებული, რომ წინასწარ დამტკიცებული იქნება—მასწავლებლების დანიშვნა სახალხო განათლების სამინისტროს ხელში იქნება. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მუხლი, რაკი ჩვენ არ მივიღეთ ის შენიშვნა სოციალ-დემოკრატიის ფრაქციისა, რომელიც სწორედ ამ ხასიათისა იყო, ჩვენ უნდა ამოვშალოთ. ეს სამინისტროს საკითხია, რომელსაც წინასწარ სწყვეტს ეს შენიშვნა. მართალია პრინციპიალურად გადაწყვეტილია, რომ სკოლის მართვა-გამგეობაში დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს, რომ თვით ერობას უნდა გადაეცეს, მაგრამ ასეთი შენიშვნა, რომ მასწავლებლების დანიშვნა არის სამინისტროს ხელში, არ არის ერთნაირი შეკვეცა უფლებისა ადგილობრივ უწყებებისა. ამ მოსაზრებით მე გამბობ, რომ ეს მუხლი „ენ" იყოს ამოღებული და დარჩეს ლია იქამდის, სანამ არ შემუშავდება ძირითადი კანონი სკოლის მართვა-გამგეობის შესახებ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის შალვა ქარუმიძეს.

შალ. ქარუმიძე. ბატონებო, ბატონ ფაჩუაშვილის შენიშვნა კვლავ გვიმტკიცებს, რომ სჯა-ბაასი ისევ ამ მუხლის, ამ პრინციპის გარშემოა. საკითხი ასე არის დასმული: აი დღეს, ამ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ვინ უნდა იყოს ხელმძღვანელი, და ვინ უნდა დაიწყოს სკოლის საქმის მოგვარება? თუ ჩვენ მივიღებთ ბატონ ფაჩუაშვილის და სოციალისტ რევოლუციონერთა ფრაქციის წინადადებას, მაშინ ჩვენ ფაქტიურად დავუბრუნდებით იმ მდგომარეობას, იმ დებულებას, რომელიც უარჰყო ეროვნულმა საბჭომ, რომელიც წარმოდგენილი იყო ბატონ ლომთათიძის მიერ.

საკითხი ესე დავსვით: მე ვფიქრობ, რომ აქ ერთფერი იქნება ამ პრინციპის წინააღმდეგი, რომ მილის და ბოლოს ეს არის ევოლიუცია სკოლის საკითხისა: სკოლის საქმე ადგილობრივ თვითმართველობის ხელში უნდა გადავიდეს. სწორედ ჩვენი ღრმა რწმენა არის, რომ ქართველ ხალხს აქვს იმდენი პოტენციალური ძალა, რომ, როდესაც ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, მაშინ მართლა სულ სხვა იქნება. ეს რომ არ გვქონდეს ჩვენ, თქვენ მაშინ მართალნი იქნებოდით, მაშინ სულ სხვა იქნებოდა. მაგრამ, ბატონებო, დავაყენოთ კონკრეტიულად საკითხი: მე ვთხოვთ, რომ ეროვნულმა საბჭომ მიიღოს დებულება ბატონ ფაჩუაშვილისა, ამოვშალოთ ეს და ვგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისხმობთ, რომ ხვალვე ადგილობრივი დაწესებულებანი უნდა მოვაგვაროთ. თქვენ კონკრეტიულად დააყენეთ საქმე. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ერობა მოწყობილი არა გვაქვს, და კიდეც, რომ მოწყობილი იყოს უნდა იცოდეთ, რომ სკოლის საქმე, ისეთი რთული და ფაქიზი საქმე არის, რომ ერობას არ ჩაჰბარდება პირველი დღიდანვე მისი არსებობისა. ერობამ უნდა გაიაროს დიდი სკოლა თვითმართველობისა, უნდა შეეჩვიოს თვითმოქმედებას სხვა ფარგლებში: გზის გაკეთება თუ ხალხის სამედიცო დახმარება, თუ სხვა. მხოლოდ მაშინ ჩაჰბარდება ასეთი ფაქიზი საქმე, როგორიც არის სწავლა-განათლების საქმე. ამას გვასწავლის ჩვენ სხვა ერების ისტორია.

გარდა ამისა ნუ დაივიწყებთ რა პირობებში ვიწყობთ ერობას, რომლის არჩევნები ხდება პარტიულ დროშის ქვეშ. ძალიან ძნელია, რომ ასე მოწყობილი ერობა გაუძლევს ასეთ რთულ საკითხს, რომელიც გადასწყვეტს ჩვენ სახელმწიფოს ავსა და კარგს. ჩვენი ხალხის ბედნიერება იმაზე არის დამყარებული თუ როგორ გადასწყდება ეს საკითხი, რომელიც არის კლიტე და გასაღები ჩვენი ხალხის ბედნიერებისა. ეს საკითხია, თუ როგორ აღვზრდით ჩვენს მომავალ თაობას. მაშასადამე ერობა არ გვაძლევს გარანტიას, რომ დღეს მას ჩაჰბარდეს ეს საქმე. მიბრძანდით და ნახეთ რა ხდება ქალაქებში. თქვენს წინ არის მწარე გაკვეთილები. დროებით მთავრობამ ჩააბარა ქალაქის თვითმართველობას სკოლის საქმე, ხაზ გასმით ვამბობ, რომ არც ერთი ქალაქის თვითმართველობა არ არის, რომელსაც თავზე ნაკისრი მოვალეობა შეესრულებინოს, ამას ხაზს ვუსვამ. აი მაგალითად ყველაზე კარგად მოწყობილია ტფილისის თვითმართველობა. სასკოლო კომისიას დღემდის არავინ ჰყავს, რომ გაგზავნოს და მეხუთე გიმნაზია დაიკისროს ქალაქის თვითმართველობამ, და ის უპატრონოდ გახლავთ დარჩენილი.

გარდა მაგისა, განა შეიძლება ასეთი შემადგენლობის თვითმართველობა, რომელიც გახლავთ დღეს უმეტეს ქალაქებში? განა შეიძლება ჩვენ თვითმართველობას, საცა დღემდის შენახული არის, ვსთქვათ, ასეთი ანორმალური მოვლენა, რომ ბევრგან საქართველოს მოქალაქენი, ქვეშევრდომნი არ არიან,—განა შეიძლება, რომ ასეთ ჩვენ თვითმართველობას, თქვენ დააკისროთ სკოლის საქმე? განა შესაძლებელია, რომ ქალაქების თვითმართველობას, რომელნიც აქამდის არიან სამწუხაროდ, უკანასკნელი ტრიბუნა, საიდანაც გაისმის განსაკუთრებით ხმა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თქვენ ჩააბაროთ ამისთანა რთული საქმე როგორიც არის სკოლის საქმე. ეს ყოვლად შეუწყნარებელია.

გარდა მაგისა, მოგახსენებთ, მე არ ვიცი როგორ გადასწყდება, ვთქვათ, საკითხი ენის შესახებ ქალაქების თვითმართველობაში, მაგალითად სოხუმის თვითმართველობაში. თვითმართველობას დააკისრებთ ამ საკითხის გადაწყვეტას, თუ ეს გადაწყდება ისე როგორც მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები. ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო არის, და მე როგორც საქართველოს მოქალაქე, და როგორც საბჭოს წევრი, ჩემ თავს არავითარ უფლებას არ მივსცემ გადავსწყვიტო ეს საკითხი ისე, როგორც თქვენ. თქვენ გაქვთ მწარე გაკვეთილი, და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ,—არამც თუ იმ წრეებს თვითმართველობისა, რომელნიც ახლად უნდა შეუდგნენ საქმეს, არამედ იმ წრეებსაც, რომელთა იმედი გვაქვს, რომ სკოლის საქმისთვის მომზადებულნი იქმნებიან. მე აქაც არ მივცემდი ჩემ თავს ნებას, მაგრამ ბატონმა მინისტრმა ბევრი მაგალითება მოგვიყვანა იმისი, თუ მასწავლებლების წრეებში სერიოზულ მასწავლებლების წრეებში არჩევნებმა რა უკუღმართი შედეგი მოიტანა. მათ გამოიჩინეს პირდაპირ უცოდინარობა და სრული დილეტანტობა. მაგალითად გურიაში, მე არ მახსოვს, რომელ სკოლაში, ერთ ერთ უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლაში, პარტიულ მოსაზრებით, პარტიის ინტერესების წყალობით, ამოირჩიეს ისეთი ადამიანი, რომელსაც თავის დღეში არავითარი კავშირი არ ჰქონია მასწავლებელთა წრეებთან. აი, ბატონებო, ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. მე მესმის ძნელია დარღვევა იმ პრინციპისა, რომელიც გწამთ, მაგრამ რაკი ეს ხდება ულმობელი ცხოვრების კანონით და რაკი დღევანდელი პირობები ამას მოითხოვენ, ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა იმას მოითხოვს, რომ ჩვენ ამის წინ შევჩერდეთ. ამიტომ ჩვენ ვიძლევით წინადადებას, რომ ეს მუხლი დარჩეს ისე, როგორც შემოტანილია სამინისტროს მიერ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის განათლების მინისტრს.

განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი. ბატონებო! მე კიდევ უნდა გავიმეორო, რომ ჩვენ არსებითად წარმოდგენილ კანონზე არა ვმსჯელობთ, და წინ გვიურბით იმას, რაც მომავალი საკითხია. ბატონმა ფაჩუაშვილმა წამოაყენა საკითხი ავტონომიის შესახებ. ამაზე მსჯელობა გვექნება შემდეგში, როცა წარმოდგენილი იქნება დებულება საშუალო სკოლის შესახებ. ეხლა ამ დროებითი კანონში ამაზე ჩვენ ვამბობთ, რომ დროებითი წესი უნდა შევქნათ, ისე რომ შევაგროვოთ ერთ რომელიმე დაწესებულების ხელში უფლება ამ სკოლის უანგარო საქმისა ამ ორ სამ წლის განმავლობაში. ისე, რომ არც საშუალო, არც დაბალ სკოლის მართვა-გამგეობაში არც საზოგადოებას, არც სამღვდელოებას, თუ არ ჰქონდეს საბუთი ამ საქმეებში ჩასარევად—თუ ვინ ნიშნავს, ვის ნიშნავს და სხვა.

ჩვენ გვინდა დროებითი წესები, დებულება გამოვსცეთ საშუალო სკოლების გამგეობის შესახებ. არსებობს კანონი, ამ კანონის თანახმად ქალაქის თვითმართველობას გადაეცემა საშუალო სკოლების საქმე, აქ თვითმართველობა განაგებს. რაც შეეხება დაბალ სკოლებს, ჩვენ უნდა მოვახდინოთ რეგისტრაცია, ვინ სად დაინიშნოს ამისათვის ჩვენი დამტკიცება იქნება საჭირო სანამდის ახალი დებულება არ გამოიცემა. ბატონ ფაჩუაშვილს აშინებს ის რომ ეხლა ვლაპარაკობთ მთავარ გამგეზე. მაგრამ ეს წინასწარ სრულიადაც არ სწყვეტს საკითხს დაბალი სკოლისას. ამ დებულებაში სწერია, რომ დაბალი სკოლის მასწავლებლებს ამტკიცებს მთავარი გამგე, სანამ ეს სკოლა არ გადაეცემა ერობას. თუ მიიღებთ, ეს კანონი, რომელსაც გამოვცემთ, ეს გააუქმებს ამ მუხლს. ასე, რომ აქ არაფერია საშიში. ეხლანდელ დროებით კანონში შეტანილი წესი სრულებითაც არ სწყვეტს წინასწარ საშუალო სკოლის მოვლის და მართვა-გამგეობის საკითხს, როგორც დაბალ სკოლისას. ეს იქნება წარმოდგენილი ჩვენ წინაშე დებულების სახით. აქ მოგახსენათ სასკოლო კომისიის წევრმა, რომ ისინი მუშაობნენ ცალკე, ჩვენც ვმუშაობდით ცალკე. რადგანაც ჩვენ შორის ზოგ შემთხვევაში არ იქნება შეთანხმება დებულების შესახებ, მერმე ორივე კომისიის მიერ ორი დებულება იქნება წარმოდგენილი საბჭოს წინაშე. მაშასადამე იქნება ლაპარაკი, რა ფარგლებში უნდა გვქონდეს საშუალო და დაბალი სკოლები.

ეხლა კი ეს კანონი არავის ხელ-ფეხს არ უკრავს. ჩვენ დღეს გვინდა გავასწოროთ ის, რაც დღეს უწესრიგოდ არის.

ახლო მომავალში იქნება გამოცემული განსაკუთრებული დებულება, საშუალო დ დაბალ სკოლების შესახებ და ეს მუხლებიც ამის შესაფერისად აგრეთვე შეიცვლება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ნოე ცინცაძე. (ს.-დ.). ბატონებო, მე არ მესმის გამოსვლა ბატონ ქარუმიძისა, არ მესმის იმიტომ, რომ ის საკითხი, რომელიც ბ. ქარუმიძემ წამოაყენა, პირდაპირ არ არის ამ საკითხთან დაკავშირებული. აქ არ არის ლაპარაკი თითქოს ერობა და თვითმართველობა აირჩევდეს მასწავლებლებს, მაგრამ, როგორც სჩანს ბ. ქარუმიძემ ისარგებლა ამ შემთხვევით, რომ ერთხელ კიდევ გაელაშქრნა ამ პრინციპის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ბატონმა ქარუმიძემ ალბად ვეტუში ეროვნულ საბჭოსი, გაიგო ისე, თითქოს ეროვნული საბჭო უნდობლობას უცხადებს თვითმართველობას. (შალვა ქარუმიძე. სრულიათაც არა, მე მაგალითი მოვიყვანეთ). ამას აქ ნიადაგი სრულიად არ ჰქონია. ეს ასე არ გაიგო ბატონმა ქარუმიძემ და გაილაშქრა მაგალითად ტფილისის თვითმართველობის წინააღმდეგ. აქ მოიყვანა მაგალითი გურიის შესახებ, მე მოგახსენებთ, რომ ის მაგალითები, რომელიც მან მოიყვანა, პირდაპირი კავშირი არა აქვთ ამ საკითხთან. მიუხედავათ ამისა, მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ამ მაგალითებზე, იმიტომ, რომ კომისია სწორედ იზიარებს ამ პრინციპს, რომელიც აღნიშნულია ამ შენიშვნაში, სწორედ როგორც კომისიის წარმომადგენელი და წევრი მისი ვაცხადებ, რომ ის, რასაც ამბობს ბატონი შალვა ქარუმიძე სინამდვილეს არ შეიცავს. და აი რატომ. ბატონმა ქარუმიძემ მოიყვანა შემდეგი მაგალითი:—მეხუთე გიმნაზია ქალაქმა გადასცა ტფილისის თვითმართველობას, და იმან სთქვა უარი, და სრულიად არ ფიქრობს ამ საქმეზეო. ნამდვილად კი საქმე ასე არის. ქალაქის თვითმართველობას ზედმეტი ხარჯების გაწევა არ შეუძლიან; მას არ შეუძლიან გაუძლვეს საშუალო სკოლას დაბალი სკოლის ხარჯით. თვითმართველობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჯერ პირველდაწყებით სკოლებს და მერმე საშუალო სკოლებს.

აი როგორ სდგას, ქალაქის თვითმართველობის საქმე, და თქვენ კი საკითხი ყირამალა გადააქციეთ. თქვენ ამბობთ იმათ ვერ მიიღეს და გადააგდეს, გადაისროლეს ეს საქმეო. ამას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ კომპეტენცია ქალაქის თვითმართველობისა საშუალო სკოლებსა და პირველდასაწყის სკოლებში სულ სხვა არის. საშუალო სკოლა, ამ შემთხვევაში მეხუთე გიმნაზია, სხვათა შორის, ექვემდებარება ქალაქის თვითმართველობას სამეურნეო საქმეებში. აქამდის ძველ დებულებით ქალაქის თვითმართველობას მჭიდრო კავშირი არ ჰქონდა საშუალო სკოლასთან, იგი ერთნაირი ხორცმეტი იყო. უნდა შევცვალოთ პირობები ქალაქის თვითმართველობის მუშაობისა და ეს აპარატი კი აუცილებელი საჭიროება იქნება. ეს აპარატი შესძლებს ამ საშუალო სკოლის ხელმძღვანელობას. ისე თუ ისე ცვლილება უნდა შევიტანოთ თვითმართველობაში, როგორც მაგალითად ინგლისშია. იქ არის ორი კომიტეტი პირველდაწყებითი სკოლისა და საშუალო სკოლისათვის. მაშასადამე არის სათანადო აპარატი, რომელიც ემსახურება საშუალო სკოლას. დ ეს აპარატი სხვათა შორის ექვემდებარება ქალაქის თვითმართველობას (შალვა ქარუმიძე. სხვათა შორის?) მე არ ვიცი რას ეხებით თქვენ, ბატონო შალვა. მაგრამ მე როგორც კომისიის წევრს არ მაქვს უფლება ყოველ კითხვაზე საკუთარი აზრი მოგახსენოთ. მე როგორც კომისიის წევრმა და წარმომადგენელმა დავიცავი ის პრინციპი, რომელზედაც იყო ლაპარაკი. ეს არის კომისიის აზრი. ბატონმა ქარუმიძემ უნდა იცოდეს, რომ ამაზე სპეციალური დადგენილება არსებობს, საკითხის არსებით განხილვაზე 4 დღე მოვანდომეთ. თქვენ ამბობთ, რომ საშიშია ტფილისში და სოხუმში ასეთი პრინციპის გატარება, რადგან შეიძლება ნაციონალურ ნიადაგზე დიდი ამბავი დატრიალდესო. მაგრამ თქვენ კარგად იცით, თუ როგორ ნორმალურად სწარმოებს სწავლა დაბალ სკოლებში. მერე რითი აიხსნება ეს? იმით, რომ კულტურულ ნიადაგზე ნაციონალურ პოლიტიკას ადგილი არ ჰქონია. იმით აიხსნება რომ არა-ნორმალურ მოვლენას (ვეშაპელი: ბოლოს ვნახავთ) ბოლოს ვნახავთ, დიახ, რასაც ვნახავთ: მერე ისტორია დაიწერება და სწორედ მომავალი გვიჩვენებს, ბატონო ვეშაპელო, თუ როგორ სცდებოდით (გ. ვეშაპელი. ელიავას მოღვაწეობა!) მომავალი პრაქტიკა გვიჩვენებს.

მე ეხლა გადავდივარ იმ შენიშვნებზე, რომელიც შემოიტანა ფაჩუაშვილმა. მე არ ვფიქრობ, როგორც პატივცემული მინისტრი, რომ ამოიშალოს ეს მუხლი, ამით შეიძლება შევზღუდოთ სამინისტროს უფლება. თუ ყურადღება მიაქციეთ აქ არის ნაჩვენები მუხლი, რომლითაც ეხლანდელ პირობებში არსებითი წესით სამინისტროს ევალება დანიშვნა, დამტკიცება. თუ მივიღეთ ეს მუხლი, მაშინ ეხლანდელ პირობებში შეიძლება შევზღუდოთ ამ ორგანოს უფლება. იმიტომ, რომ აქ იქნება აღნიშნული ის ორგანო, რომელიც ირჩევს ხელმძღვანელებს და რომელიც შეზღუდავს სამინისტროს უფლებას. როცა ჩვენ ვმუშაობდით ამ კანონ-პროექტზე, სკოლის თვითმართველობისადმი გადაცემაზე, აი მაშინ მართლა ჩვენ გადავწყვიტეთ ეს საკითხი: ჩვენ გვეგონა, რომ რაიმე უფლება და კონტროლი ცენტრს, უნდა ეკუთვნოდეს, მაგალითად დამტკიცება დანიშვნა. მაგრამ შეიძლება ეს თვითმართველობასაც მივაკუთნოთ. შეიძლება ეს სხვანაირადაც გადასწყდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი სადაოა. ამ მუხლის შესახებ მე ვფიქრობ, რომ ამოვშალოთ ეს მუხლი, მაინც რჩება არსებული წესი. მინისტრს ევალება არამც თუ დანიშვნა და დამტკიცება ამ შემთხვევაში სრულიად არ შევზღუდავთ განათლების სამინისტროს უფლებას მომავალში. თუ ეს დებულება მივიღეთ ამ დებულებაში იქნება აღნიშნული ვინ ირჩევს, ვის ნიშნავს, ვინ ამტკიცებს. შეიძლება აღნიშნული იყოს, რომ მასწავლებლებს და დირექტორს ირჩევს და ნიშნავს სამინისტრო. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, რომ ეს მუხლი ამოიშალოს (შალვა ქარუმიძე: კომისიის აზრი როგორია?) როცა კომისიაში წამოყენებული იყო ეს საკითხი, რომელიც ეხლაა წამოყენებული საბჭოში, იქ განხილული იყო ეს საკითხი და ნათქვამი იყო, რომ ყველა ტიპის სკოლები გადაეცემა თვითმართველობას მართვა-გამგეობის მხრივ. მაშინ კომისიაში მივიღეთ დებულება, რომლის თანახმადაც თვითმართველობანი ირჩევენ მასწავლებლებს და მთავარი გამგე ამტკიცებს მათ იმიტომ, რომ ჩვენ მარტოდ-მარტო მხოლოდ ამ დამტკიცებაზე ვლაპარაკობთ, ბატონო შალვა, და რაკი არ არის წარმოდგენილი კანონ-პროექტი მე ვფიქრობ, პირადად მე ამ მუხლის ამოშლით, რომ არაფერი დაშავდება.

თავმჯდომარე. კამათი დამთავრებულია. შემოტანილია წინადადება, საბჭოს წევრის ფაჩუაშვილისა, რომ მეშვიდე მუხლიდან ამოვშალოთ შენიშვნა ენი. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? კენჭის ყრით მომხრეა 22, წინააღმდეგია 17.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) განყოფილება უმაღლესი და საშუალო სკოლებისა.

მუხლი 8. უმაღლეს და საშუალო სკოლების განყოფილების სათავეში სდგას სკოლების მთავარი გამგე.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი მუხლი.

ნოე ცინცაძე. (კითხულობს) მუხლი მე-9. ამ განყოფილების მთავარ გამგეს ევალება საქმეები, რომლებიც ეხებიან უმაღლეს და საშუალო სკოლებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. ა) შემუშავება საშუალო სკოლების ხარჯთ-აღრიცხვისა;

ბ) უმაღლეს სკოლების საოჯახო რევიზია და საშუალო სკოლების ადმინისტრატიული რევიზია;

გ) საშუალო სკოლების პედაგოგიური რევიზია;

დ) შემუშავება მოსაზრებისა საშუალო სკოლების რეორგანიზაციისა;

ე) შემუშავება პროექტებისა ახალ საშუალო სასწავლებელთა ორგანიზაციისა და დაარსებისა;

ვ) მასწავლებელთა დამტკიცება, თანახმად იმ წესისა, რომელიც განსაზღვრულ იქნება საშუალო სკოლების ძირითად დებულებაში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ფაჩუაშვილს.

ფაჩუაშვილი. შეიძლება ხელახლა კენჭი უყაროთ ამ მუხლს. მაგრამ მოუხერხებელია, რომ ჩვენ ერთ ალაგას ამოვიღეთ ასეთივე მუხლი და აქ კი დავტოვოთ ისეთივე მუხლი შესახებ სახალხო სკოლებისა. თავისთავად ცხადია რომ ანალოგიური პუნქტი უნდა იყოს ამოღებული. თუ დაბალ სკოლებში არ შეიძლება ეს არც მაღალ სკოლებშიაც და აგრეთვე პროფესიულ სკოლებში არ უნდა შეიძლებოდეს, აგრეთვე იმ პუნქტში, რომლითაც ვგულისხმობთ მასწავლებლების დამტკიცებას. ამიტომ რადგან ეს სამი მუხლი ანალოგიურად გაფანტულია სამ ადგილას და რადგან, როგორც პრინციპი პარლამენტმა უარჰყო ამ კანონში ისეთი რამის შეტანა, რომელიც წინასწარი გადაწყვეტილების ხასიათი აქვს—აქედან ლოგიკურად ცხადია რომ ეს მუხლები ამოშლილი უნდა იყვეს ამ კანონ-პროექტიდან.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ნოე ცინცაძე. მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს რა.

შ. ქარუმიძე. რასაკვირველია, ეს მუხლი ამოღებული უნდა იყოს.

(გ. ვეშაპელი. ჯერ შესწორებას უნდა უყაროთ კენჭი. მუხლი ცალკე იქნება).

თავმჯდომარე. ჯერ შესწორებას უყრი კენჭს. ვინ არის მომხრე რომ ამოღებული იყოს მუხლი ვინი? ვინ არის წინააღმდეგი? მომხრეა 23, წინააღმდეგი 17. მაშასადამე შესწორება მიღებულია. ეს მუხლი ამოიშლება. კენჭს უყრი ეხლა მთლად მეცხრე მუხლს. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ნ. ცინცაძე. (კითხულობს) განყოფილება საპროფესიო სკოლებისა. მუხლი 10. საპროფესიო სკოლების სათავეში სდგას მთავარ-გამგე ამ სკოლებისა.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ მუხლისა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. მე-11 მუხლი.

ნ. ცინცაძე. (კითხულობს) მუხლი 11. ამ განყოფილების მთავარ-გამგეს ევალება საქმეები, რომლებიც შეეხებიან საპროფესიო სკოლებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

ა) შემუშავება და შედგენა საპროფესიო სკოლების ხარჯთ-აღრიცხვისა;

ბ) საპროფესიო სკოლების ადმინისტრატიული რევიზია;

გ) საპროფესიო სკოლების პედაგოგიური რევიზია.

დ) შემუშავება მოსაზრებისა საპროფესიო სკოლების რეორგანიზაციისა;

ე) შემუშავება პროექტისა ახალ საპროფესიო სკოლების ორგანიზაციისა დ დაარსებისა.

ვ) დამტკიცება მასწავლებლებისა თანახმად იმ წესისა, რომელიც განსაზღვრულ იქნება საპროფესიო სკოლათა ძირითად დებულებებში.

მაშასადამე ეს უკანასკნელი მუხლი ვინი ამოიშლება, თანახმად იმ შესწორებისა, რომელიც ჩვენ შევიტანეთ ანალოგიურ მუხლებში.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ ეს მუხლი ამოიშალოს? მაშასადამე ეს მუხლი ამოიშლება. ვინ არის მომხრე მთლად 11 მუხლისა? მეთერთმეტე მუხლი მიღებულია.

## პარლამენტის ქრონიკა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს 1 ოქტომბრის სხდომა გაიხსნა ნაშუადღევის 1 საათზე ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. სხდომის გახსნისას თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღევანდელ სხდომაზე ჩვენს საკანონმდებლო კრებას შემოემატა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვ-

...ერთ-ერთი უმცირესობის წარმომადგენლები—სომხები; ამის შემდეგ დავითაშვილს, ...ლევა სიტყვა, რომელიც მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

წაიკითხეს დღიური წეს-რიგი.

მიღებულია შ. ამირეჯიბის მიერ მოხსენებული საბოლოო ტექსტით საქართველოს სახელმწიფოესრივი ენის კანონი.

ნ. ქარცივაძის მოხსენებით მიღებულია კანონ პროექტი ტფილისის ორ მომრიგებელ მ...ართლეთა, მათ მდივნებისა და მთარგმნელების დამატებითი გასამრჯელოს გაღებისა და კანცელარიისთვის დამატებითი თანხის მიცემისათვის.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულია კანონ-პროექტი, რომლითაც მოქანდაკე ი. ნიკოლაძეს მიეცემა 3000 მან. საქართველოს ნაციონალურ დროშის პროექტის შედგენისათვის.

რიგით გრძელდება კამათი ა. ახმეტელის შეკითხვაზე სასურსათო საქმის შესახებ.

კამათში მონაწილეობას ღებულობენ თ. ღლონტი, ფ. კიკვაძე, რ. გაბაშვილი, პ. ქავთარაძე, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, ი. მაჭავარიანი, ი. წერეთელი, ა. პაპავა, ა. ფაღავა და ფარნიაშვილი. კამათის დასრულების შემდეგ საბჭო იღებს შემდეგ ფორმულას, რომელიც ს.-დ. წარმოადგინეს: „საბჭომ მოისმინა ა. ახმეტელის შეკითხვა სასურსათო საქმის შესახებ და მთავრობის განმარტება-პასუხი და აღნიშნა, რომ მთავრობას თავის ინიციატივით ყოველივე ღონე უხმარია სასურსათო საქმის მოსაგვარებლად და დარწმუნებულია, რომ განახორციელებს თვის მიერ დასახულ და შემუშავებულ ზომებს გამეფებულ ბოროტმოქმედებათა ასალაგმავათ, უცხადებს სრულს ნდობას და გადადის მორიგ საკითხებზე“.

სხდომა დღის 4 საათზე იხურება.

# დეპეშები.

## ომი.

ბერლინი, ოქტომბრის 1. მთელ დასავლეთის ფრონტზე ენკენისთვის 26 საჰაერო ბრძოლა იყო, რომლის დროსაც ჩვენ გავიმარჯვეთ. ამ დღეს მტერმა დაჰკარგა 54 ჰაეროპლანი და 10 ჰაერრსტატი. მიუხედავად ღრუბლისა ორივე მხრიდან დილიდანვე გაჩაღდა საჰაერო ბრძოლა. ჩვენმა ავიატორებმა მტერზე გაიმარჯვეს. მტრის ზარალთან შედარებით ჩვენი ზარალი ძალიან ცოტაა, ჩვენ დავკარგეთ სულ 5 ჰაეროპლანი და 7 ჰაეროსტატი.

რუსეთის ფრონტი.

მოსკოვი, ენკენ. 30. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელსკის მიმართულება. მტერმა წინ წაწევა განიზრახა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. პლესეცკო-სელეცკის მიმართულება: მტერმა მდ. ელტის გადასვლა განიზრახა, მაგრამ ჩვენ შევაჩერეთ.

სამხრეთის ფრონტი. პავლოვის მიმართულება: ჩვენ დავიჭირეთ ელისავეტოვკა. ნოვო-ხაპიორის მიმართლება: ჩვენ დავიჭირეთ სოფ. კონენკა და სადოვკა. ბალაშოვ-ელენის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერეთ. კრასნოიარსკის მიმართულებით ჩვენ დავიჭირეთ ხუტორი „ბოლშოი“ და სადგ. ნესტოროვსკაია. აღმოსავლეთის ფრონტი. ალოპაევის მიმართულება: ბრძოლის შემდეგ მტრის იერიშმა უკან დაგვახევინა. ტაგილის მიმართულება. მტერს ძალები მიემატა და იერიშით უკან დაგვახევინა. პერმის მიმართულება: ჩვენ დავიჭირეთ ზლატოუსტოვსკაია, საჟინო, იურკანი, კარმანოვო, კაზნიკი, ნიკოლაევის მიმართულებით ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერეთ.

მოსკოვი. აღმოსავლეთის ფრონტი. ელაბურგით და კამით ჩვენ წინ ვიწევთ. სარაპულის მიმართულება: ჩვენები აგრაზისკენ იწევენ. პენზა-სიზრანის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ ჩერნოროვკა. ვლადივოსტოკიდან იტყობინებიან, რომ ხაბაროვკის აღების შემდეგ ჩვენები ამურით წინ მიდიან. ჩინეთის გზას იაპონელები, ჩინელები და ჩეხები იცავენ.

დროებითი ზავი.

ბერლინი. გენერალ ესპრემ და ბულგარელმა რწმუნებულებმა დროებით ზავის პირობას ხელი მოაწერეს.

უმრავლესობის კაბინეტი.

ვიცე-კანცლერმა ფონ-პეიერმა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა პარტიებთან, კონფერენცია მოიწვია პარლამენტის რეფორმის შესახებ. კონსერვატორებმა და დამოუკიდებლებმა უმრავლესობის კაბინეტის მხარე დაიჭირეს. სდგება უმრავლესობის სამინისტრო. ნაციონალ-ლიბერალებმა არ იციან შევიდენ მ...რობაში, თუ შეიდემანელებს დაუთმონ თავისი პორტფელები. გადაწყვეტილია, რომ დროებითი მინისტრები არ იქნებიან მოკავშირე საბჭოს წევრები. პროგრამის საფუძვლად მიღებულია ს. დ. პირობები.

მოსკოვი. მოსკოვის საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ტროცკიმ ილაპარაკა სამხედრო საქმეებზე. ტროცკის ცნობამ ენტუზიაზმი გამოიწვია.

ბულგარეთის საკითხი.

სტოკჰოლმი. პარიზის გაზეთებში მოთავსებულია ცენზურის გამოტოვებული ცნობა, რომ ბულგარეთის საკითხზე შეთანხმების სახელმწიფოთა სამხედრო საბჭოში მსჯელობდნენო.

ნაციონალ-ლიბერალები გერმანიაში.

ბერლინი. რეიხსტაგის ნაციონალ-ლიბერალურმა პარტიამ მთავრობის პარლამენტარული შემადგენლობის რეზოლიუცია მიიღო. რეზოლიუცია თხოულობს სახელმწიფო საქმეებში და პოლიტიკაში სტატს-მდივნების მუდმივ მონაწილეობას. პარტია თხოულობს პრუსიის ამომრჩევლობის რეფორმის მოწესრიგებას, აგრეთვე იმ კითხვების მოწესრიგებას, რომელიც ეხება ცენზურას და სამხედრო წესდებას. გარეშე პოლიტიკის საკითხებში — ზავი იმპერიის ტერიტორიის შეუხებლად და გერმანიის ახალშენების დაბრუნება. ბელგიის დამოუკიდებლობა, მისი დაუყონებლივი ნეიტრალიტეტის გარანტია.

შემდეგ წამოყენებულია მუდმივი ზავის მოთხოვნა. მიესალმებიან ერების ლიგის იდეას და ზღვებით თავისუფალი სარგებლობის უფლებას.

ჩეხების უფროსი.

პენზა. ომსკიდან იტყობინებიან, რომ ჩეხების უფროსად დანიშნულია გენერალი კანი (?) რომელიც რუსეთში მიდის.

ხორბლის მონოპოლია.

კიევი. მთავრობამ მიიღო კანონი ხორბლის მონოპოლიისა და სახელმწიფო საწყობებში პურის მოტანის შესახებ.

კოალიციონური სამინისტროს პროექტი გერმანიაში.

მოსკოვი. კოალაციონურ სამინისტროს პროექტში ახალი კომბინაცია ისახება. კანცლერად განზრახულია დაინიშნოს ლიბერალი ფონ-პაიერი, ვიცე-კანცლერად და შინაგან საქმეთა მინისტრად სოციალ-პატრიოტი ებერტი, ფინანსთა მინისტრად სოციალ-პატრიოტი ზუდეკუმი, ვაჭრობის მინისტრად სოციალ-პატრიოტი ლუგინი, გარეშე საქმეთა მინისტრად ცენტრავიკი ერცბერგერი ან ნაციონალ-ლიბერალი რინცგოფგენი.

სეპარატიული ზავი.

ბერლინი, ენკენ. 30. ბულგარეთმა სეპარატიული ზავი შეჰკრა შეთანხმების სახელმწიფოებთან იმ პირობით, რომ გერმანიასთან ყოველგვარი კავშირი შესწყვიტოს და კერძოდ ვალდებული გახდა წინაალმდეგობა გაუწიოს ოსმალეთსა და გერმანიის შორის ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას.

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

○ მთავრობამ სოჭიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „30 სექტემბერს სოჭაში შესდგა მრავალ რიცხვოვანი ქართველთა კრება. გაირჩა კითხვა საქართველოს წარმომადგენლის გეგეჭკორისა და გენ. მაზნიევისა, ერთის მხრით და ყუბანის მთავრობასა და მოხალისეთა რაზმის წარმომადგენელთა, მეორე მხრივ. გაეცნო რა კრება მოლაპარაკებას და გამოარკვია რა საქმის ნამდვილი მდგომარეობა, კრებამ დაადგინა მიმართოს ეროვნულ საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობას შემდეგი თხოვნით: „ქართველ მცხოვრებთ სწამთ თავისი რესპუბლიკის ძალა და მიიღებს ყოველ ღონეს რესპუბლიკის დასაცავად, ვინაიდან ალექსეევის მოხალისეთა რაზმი, რომელმაც დაიკავა სოჭის ოლქი, მუდამ მტრულ განწყობილებაში იქნება საქართველოს თავისუფლებასა და და დამოუკიდებლობასთან“. ექსპეტიცია მიღებულ იქნა ერთხმად, ასევე უნდა მოხდეს სხვა ეროვნებათა მოქალაქეობის კრებები.

○ გარეშე საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საქართველოს სამხედრო წარმომადგენელს ბათუმში გამოარკვიოს კითხვა აბასთუმნიდან ბათომში ყოფილ დიდი თავადის გიორგი ალექსანდრეს ძის სამკითხველოს გადმოტანის შესახებ.

○ სომეხთა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოში ჯამალიანმა სთხოვა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ მან დახმარება გაუწიოს საერთაშორისო რკინის გზის კომისიის მეცადინეობის აღდგენას, რომლის პირველი სხდომა მოხდება 3 ოქტომბერს. აგრეთვე მოწყობილ იქნას სამგზავრო და საბარგო მატარებლების წესიერი მიმოსვლა კავკასიის გზაზე. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, შინ...ე, როგორც დაბრუნდება ტფილისში სომეხთა დიპლომატიური წარმომადგენელი ჯაფაროვი.

ქართული ლატარია.

○ მე-2-ე კომერციულ სასწავლებლის და მე-2-რე სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციამ შეიძინა ლოტარიის ბილეთები მთელ კორპორაციისათვის.

○ ქართულ კლუბის ყველა ხელზემოსამსახურემ თითო ბილეთი შეიძინა და გადასწყვიტეს შეიძინონ აგრეთვე მთელ კორპორაციისათვის.

○ მესტამბე ბ. კილაძემ 2 ათასი მან შემოსწირა ლატარიას ნაღდ ფულათ და 1000 მან. ბილეთები შეიძინა

○ გზათა ოლქის მოსამსახურეთა კორპორაციამ ნაღდ ფულად შეიძინა ლოტარიის ბილეთები და კიდევ დაიკვეთა.

○ ხონის ქალაქის თავმა ივ. ჭავჭანიძემ ხონსა და მის ახლო მახლო რაიონში გასავრცელებლად წაიღო 2000 ბილეთი, სულ 5 ათას მანეთისა.

○ ქუთაისის საჯარო ვაჭრობის მომწყობ კომისიაში აირჩიეს დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე, რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება.

○ დუშეთის მაზრაში ბილეთების გავრცელება იკისრა ცნობილმა ნაფიცმა ვექილმა დ. ჭიაბრიშვილმა.

## სახალხო განათლება.

○ ქალაქის გამგეობას განუზრახავს ებრაელთათვის და აისორებისათვის პირველდაწყებითი სკოლები დაარსოს.

○ ქალაქის სასკოლო საბჭომ დაადგინა ამავე ოქტომბერში ყველა რუსულ დასაწყის სასწავლებელში მეოთხე კლასი გახსნას.

კრება.

○ დღეს, საღამოს 8 საათზე, პუშკინის სახალხო ბიბლიოთეკის დარბაზში (ალექსანდრეს ბაღთან) დანიშნულია შეერთებული კრება არქეოლოგიურ საზოგადოებისა და გეოგრაფიულ საზოგადოების ეთნოგრაფიულ კომისიისა, სადაც გრ. ფ. ჩურსინი წაიკითხავს მოხსენებას „ავგაროზ-გაზმანდები კავკასიის ერთა შორის“. კრებაზე შეუძლიათ დაესწრონ გარეშე პირთა.

○ კვირას, 6 ოქტომბერს, ტფილისის სასამართლო პალატის დარბაზში გაიმართება საორგანიზაციო კრება ქართულ იურიდიულ საზოგადოებისა. ქართველ იურისტთა პირველ კრებაზედ არჩეულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა წესდების პროექტი და ეს უკანასკნელი წარედგინება დასამტკიცებლად ხსენებულ კრებას. იმავე კრებამ უნდა აირჩიოს იურიდიულ საზოგადოების პირველი საბჭო (გამგეობა). კომისია მოუწოდებს ყველა ქართველ იურისტს დაესწრონ საორგანიზაციო კრებას. წინასწარი გაცნობა წესდების პროექტისა შეიძლება იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში ყოველ დღე 10—3 საათამდე.

მუშათა შორის.

○ შრომის მინისტრის ამხ. ერაძემ ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა მიიღო გოლდმანისა და ქარცივაძისაგან: გთხოვთ მოელაპარაკოთ მიწათ მოქმედების მინისტრ ხომერიკს და საბოლოოდ გამოარკვიოთ: მუშები თხოულობენ პურის ფასი ფუთზე 70 მან. დასტოვოთ იმ პირობით, რომ 50 მან. მომატებით თვეში ჯამაგირი; თუ შვიდ თუმნათ არ დასტოვებთ ფუთს პურს, მაშინ ისინი დიდ მომატებას მოითხოვენ საჭიროა, რომ პურის ფასი გადაჭრით იყოს გამორკვეული, თორემ ჩვენი მოლაპარაკება მუშებთან უნაყოფო დარჩება. აჯობებს, რომ პურზე 70 მან. დასტოვოთ და თუ მოუმატებთ, მაშინ ის ზედმეტი ხარჯები, რომელიც მოსალოდნელია მუშათა ჯამაგირების მომატებისაგან უნდა მიიღოს თავისზე მიწათ-მოქმედების სამინისტრომ.

○ კვირას 30 ენკენისთვეს ტფ. გუბერნიის შრომის კომისრის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ღვინის სარდაფების მოსამსახურეებისა, რიცხვით 400 სულ მუშამდე. კომისარმა წაიკითხა მოხსენება მუშათა სოციალურ დაზღვევის და სამკურნალო კასების მნიშვნელობის შესახებ. კრებამ დაადგინა 1) დაუყონებლივ დაარსდეს სამკურნალო კასა და თვითეულს ამ მუშათაგანს 2% დაეჭიროს ჯამაგირიდან ამ კასის სასარგებლოთ, 2) შეუერთდეს ტრამვაის მოსამსახურეთა სამკურნალო კასის წევრებს და ბოლოს კი საქალაქო კასათა წევრებს. ამ საქმის მოსაწესრიგებლად აირჩიეს საგანგებო კომისია 8 კაცისაგან. ამ კომისიამ უნდა მოიწვიოს საზოგადო კრება ღვინის სარდაფების პატრონთაგანაც, რომ მუშათა სოციალური დაზღვევის საკითხი საკმაოდ გამოირკვეს.

○ ტფ. მილიც. უფროსის დადგენილებით დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხის ციხეში, როგორც მავნე პირნი საქართველოს რესპუბლიკის წესწყობილებისათვის: 1) ალექსანდრე კალპენა, 2) კლავდია პროსოჩკინა, 3) ანნა იურინა, 4) ოგანეს სახიბეკოვი, 5) ალექსანდრე ვიშნევსკი, 6) გიორგი ჩიკვაიძე, 7) პროკოფ პოლიაევი, 8) კონსტ. მეტრეველი და 9) ვასილი სემიონოვი.

○ ბორჩალოს მაზრის სოფ. ბეშტაშენიდან სასურსათო სამინისტროს რწმუნებულ ტერგრიგორიანცისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „მანგლისის მილიციონერები გლეხებს დაბრკოლებებით ელობებიან წალკის მხრიდან სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა ჩამოსატანად ტფილისში. გთხოვთ განკარგულება უბოძოთ, მით უმეტეს, რომ ამ დაკავებულ სანოვაგეს მილიციონერები ვითომც და კანონის ძალით ერთმანეთში იყოფენ.

○ ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. კალანდარაშვილი დეპეშით აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ უკვე შესდგა მილიციის შესანახ გადასახადის გამწერი კომისია. ქალაქის მოურავი სთხოვს მინისტრს დანიშნოს თავმჯდომარე ამ კომისიისა, ვინაიდან საშიშოა მილიციონერთა გაფიცვა არ დაიწყოსო.

○ მილიციონერთა პროფესიონ. კავშირმა ქალაქის გამგეობას შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინა: ჯამაგირის თავის დროზე მიცემის შესახებ, საზაფხულო და საზამთრო ტანისამოსის შესახებ, იაფ-ფასიანი პურის მიცემის შესახებ, მოკლულთა და დასახიჩრებულ მილიციონერების ოჯახობის უზრუნველყოფის შესახებ, ნება ჰქონდეთ, რომ ერთ დროს სამ მილიციონერს შეეძლოს ტრამვაით მიმოსვლა და უფასოდ მკურნალობის შესახებ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: აცნობოს მილიციის პროფესიონალურ კავშირს, რომ მათ ნება ეძლევათ მათ სადგომების ახლო მდებარე ქსენონებში ექიმებთან მიმართვა უფასო საექიმოთ. ამ ქსენონთა ექიმები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ მიიღონ ისინი კომისარების ბარათის წარდგენისთანავე. ნება ეძლევა მილიციონერებს საჩქარო შემთხვევაში სამი კაცის ტრამვაით მოგზაურობა ვაგონის საფეხურზე გაჩერებით, რაც შეეხება იაფ-ფასიან პურის მიცემას ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მილიციონებმა აცნობონ მას, ვის რამდენი სული ჰყავს ოჯახში, რომ იმის კვალად პური გამოუცხოს მათ.

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა ბორჩალოს მაზრის სოფ. ეკატერინოვკიდან შემდეგი დეპეშა მიიღო ქართველ სოფელ დმანისის მცხოვრებთა რწმუნებულებისაგან: „ხმებია, ვითომც ბორჩალოს მაზრის მილიციის უფროსი არჯევანიძე იძულებით თავს ანებებს თვის თანამდებობას. ჩვენ, თრიალეთის მხრის მცხოვრებნი, გთხოვთ დანიშნოთ სამინისტროს რწმუნებული, რომელიც შეამოწმებს მის ნაყოფიერ სამსახურს ჩვენი კუთხისთვის და არ მოგვაშორებს ასეთ ენერგიის მქონე უფროსს“. დეპეშაზე ხელი უწერიათ ბევრ რწმუნებულს, განსაკუთრებით ქართველებს.

○ საგანგებო რაზმმა შეიპყრო ალექსანდრე იგივე სერაფიონ კონჯარია, რომელსაც სპეკულიანტობა ბრალდება შაქრისა და სხვა სანოვაგეთა. იგი დააპატიმრეს.

○ ბონების დასამზადებელ ესქპედიციის ერთ-ერთი გამცარცველი გვეხული დაიჭირეს ს. ბანძაში. მას აღმოაჩნდა 32 ათასი მანეთი.

## გამომცემლობა.

○ შინაგან საქმეთა მინისტრს წარედგინა დასამტკიცებლად წესდება სომეხთა საგამომცემლო საზოგადოება „აირენკი“-სა. ამ საზოგადოებას მიზნადა აქვს დასახული გამოცემა გაზეთ-ჟურნალების, წიგნების, ბროშურების და სხვა და სხვა ბეჭვდითი მასალის. საზოგადოების. დამაარსებელნი არიან: ვაჭარი ა. ნ. მილოვი, ნაფიცი ვექილი ს. ს. არუთუნიანცი ვაჭარი ა. ა. ენფიანჯიანცი, ნაფ. ვექ. ა. პ. ბარხუდარიანი, ვაჭარი ს. ს. გიულბეკიანი, ექიმი საზოგადო მეცნიერებისა გ. პ. მელიქ-კარაკოზოვი, ვაჭარი მ. ო. არამიანცი, უფლებათა კანდიდატი მ. ი ბერბერიანი, ვაჭარი ა. ე. ბალდასაროვი, პოლიტეხნიკუმ დამთავრებული ვ. ო. ტერ-ზახაროვი ვაჭარი, მ. ი. მარტიროსიანი და ვაჭარი მ. ა. კალანტაროვი.

სასამართლოს კარშემო.

○ ტფ. სამოსამართლო პალატის ბრალმდებლმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გ. ი. ინოზემცოვის სისხლის სამართალში მიცემაზე საკმაო საბუთები არ არის.

○ იუსტიციის მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ბორჩალოს მაზრის ლორისა და ბაშკიჩეთის რაიონებში დღემდე გამომძიებლები არ იყვნენ დანიშნული იმის გამო, რომ საგამომძიებლო უწყების რეორგანი-

ზაციის საქმე ჩვენს კუთხეში ჯერ არ იყო მომთავრებული. ეხლა რეორგანიზაცია უკვე მომთავრდა, უკვე მოვახდინე განკარგულება ტფ. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე, რომ ახლად დანიშნული გამომძიებელნი ყველა კუთხისა დაუყოვნებლივ გაემგზავრონ თავ თავის ალაგას და შეუდგენ მუშაობასო.

◯ ოთხშაბათს, 2 ღვინობისთვეს იუსტიციის მინისტრის ამხანაგ გ. ი. გველესიანის თავმჯდომარეობით შესდგა კრება საქართველოს უმაღლეს სასამართლოს დაარსების შესახებ. კრებას დაესწრენ წარმომადგენელნი ყველა სათანადო უწყებათა.

◯ კვირას, 6 ენკენისთვეს სამოსამართლო პალატის ბინაზე, დღის 11 საათზე დანიშნულია დამფუძნებელი კრება ქართულ იურიდიულ საზოგადოების დაარსების შესახებ.

◯ ტფილ. სარევოლიუციო ტრიბუნალის საქმეთა ლიკვიდაცია გუშინ დამთავრდა. საგანგებო სასამართლო საქმეების გარჩევას შეუდგება დღეიდან.

◯ დუშეთის საქმეების გამო შემდგარი საგანგებო საგამომძიებლო კომისია განაგრძობს საქმეების განხილვას. მის მუშაობას მეტად აფერხებს ის გარემოება, რომ დარიალის რაზმი შეპყრობილთა შესახებ არ იძლევა დაწვრილებით ცნობებს, მათ ამა თუ იმ მონაწილეობის შესახებ.

### ვაჭრობა-მრეწველობა.

◯ გერმანულ-კავკასიის ბანკის დაარსების შესახებ სომეხთა მთავრობამ გამოსთქვა ის აზრი, რომ ბანკის წესდება დამტკიცებულ იქნება მას შემდეგ, როცა საქართველოს მთავრობა დაადასტურებს მის წესდებას, ვინაიდან ბანკი ტფილისში უნდა იქნეს დაარსებულიო.

◯ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით ენკენისთვის 30 საღამოთი შესდგა თათბირი სათბობ მასალის შესახებ, რომელზედაც განხილული იყო გეოლოგ ციციანოვის მოხსენება პხოველში ნავთის აღმოჩენის შესახებ, სად. კაჭრეთიდან 7 ვერ. მანძილზე. აქაური ნავთი მაღალი ღირსებისაა. ამავე სხდომაზე განიხილეს ინჟ. ყიფშიძის მოხსენება ნავთის დამუშავებაზე ყველა გამოუყენებელ განცხადებების გაუქმების შესახებ. თათბირმა მიანდო თავის პრეზიდიუმს მოახსენოს მთავრობას განხილული საკითხები.

### სასურსათო საქმე.

◯ ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოუმატოს ნიხრი ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურებში სხვა და სხვა სანოვაგის სიკარგის გამოსაკვლევად.

⊖ მეორე სხდომა სასურსათო საბჭოსი დანიშნულია დღეისთვის.

◯ ყარაიაზიდან ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებას აცნობინებენ, რომ მუშახელის ნაკლებობის გამო თითქმის მთელი მოსავალი დაიღუპა.

### ფოსტა-ტელეგრაფი.

◯ ამა წლის 1 ოქტომბრიდან დაიხურა კოჯრისა და ბორჯომ-პარკის დროებითი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

### რკინის გზაზე.

◯ სახელმწიფო კონტროლიორმა განკარგულება მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის დაწესებულებათა რევიზიის შესახებ.

◯ სომეხთა და საქართველოს მთავრობამ შეჰკრეს ხელშეკრულება რკინის გზებზე საქონლის გადატანის კონვენციის შესახებ.

◯ ტფ. გუბერნიის კომისარი, თანახმად გორის კომისარის შუამდგომლობისა, სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს შესაფერი განკარგულება მოახდინოს, რომ გზათა სამინისტრომ შეუფერხებლივ ამოგზაურონ შესაფერ „ლიტერ"-ით ადმინისტრაციის და მილიციის პირნი მისდამი რწმუნებულ გუბერნიისა.

◯ დღეს, 4 ოქტომბერს, დღის 12 ს. შესდგება გზათა სამინისტროს ბინაზე ამავე სამინისტროსთან არსებულ სატერმინოლოგიო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოწვეულ არიან წარმომადგენელნი სახაზინო და კახეთის რკინის გზათა წარმომადგენელნი. კრება დაასრულებს ცალკე განყოფილებათა სატერმინოლოგიო მასალათა განხილვას, რის შემდეგ უნდა მოხდეს მიღებულ და განხილულ მასალის საბოლოო დადასტურება ქართულ ენის სპეციალისტთა თანადასწრებით.

◯ რკინის გზის მილიციის უფროსი ეპიტაშვილი სთხოვს გზათა უფროსს, რომ წარმომადგენელნი სასურსათო სამინისტროსი თვის რაზმით არ ერეოდნენ რკინის გზის უწყების უფროსთა განკარგულებაში ლიანდაგზე, რასაც ხშირი ალაგი აქვს და ამ დღეებშიც მეისრე სადგურ ბეიუკ კიასიკისა შამილ ალა მოქმედებითაც შეურაცყოფილ იქნა სასურსათო სამინისტროს რაზმის მიერ.

### სხვა და სხვა ამბები.

◯ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთა სადელეგატო პირველი ყრილობა იღებს რა მხედველობაში რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისა და ნორჩ რესპუბლიკის ფიზიკურ ძალა-უფლების გამტკიცებაში სახალხო გვარდიის მიერ გამოჩენილ სიმამაცეს და სიმტკიცეს, სთხოვს მთავარ შტაბს ყველა ამხანაგ გვარდიელებს გადასცეს ყრილობის სახელით სალამი.

ყრილობის თავმჯდომარე ჯამანაშვილი.

მდივანი ჰყონია".

◯ მიწათ-მოქმედების მინისტრის ნ. გ. ხომერიკის და მისი ამხანაგის პ. პ. გელეიშვილის თანდასწრებით გაიხსნა ამიერ-კავკასიაში პირველი სატყეო კურსები, სადაც მოემზადებიან ტყის საქმეთა გამგის თანაშემწენი. სამინისტროს განკარგულებით კურსებზე 30 მაგიერ მიიღეს 50 მსმენელი, მათში რამდენიმე უმაღლესი სწავლითაა, უკანასკნელთა შორის ერთი ქალია.

◯ სოჭიდან იტყობინებიან, რომ სოჭის ქალაქის თვითმართველობის კრებაზე დაადგინეს: მოიწვიონ სხდომებზე გენ. ალექსეევი. სოც. დემოკრატებს კრება დაუტოვებიათ.

◯ ერევნიდან სომხურ ჟურნალ „ჟოღოვურტს" დეპეშით აცნობინებენ, რომ ზანგეზურგის ოლქში მოუკლავთ სომეხთა ცნობილი ბელადი ანდრონიკაო.

◯ ამ დღეებში გერმანიიდან მოელიან 19 ტყვე ოფიცრებსა და 148 ტყვე ჯარის კაც ქართველებს.

◯ ქალაქის გამგეობამ დაამტკაცა წესრიგი ელექტრონის ხმარებისა და აგრეთვე ქალაქის გამგეობის წევრის ი. ი. ბესელიძის მიერ წარდგენილი ნიხრი ელექტრონულ ძალაზე.

◯ ყველა საქმეები, რომელიც კი შეეხება სტიპენდიებს, ქალაქის გამგეობამ სასწავლებლების საბჭოს გადასცა.

◯ სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრის ს. მდივანის თადასწრებით დაათვალიერა ქუთაისის გარნიზონის ჯარები საკუთარ ყაზარმებში. ჯარების მდგომარეობით მინისტრი კმაყოფილი დარჩა. სამხედრო მანისტრი დეპეშით აცნობინებს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ პირველი დივიზიის შექმნის საქმე კარგად მიდის.

◯ შავი ზღვის სანაპირო რაზმში საჭიროა უნტერ-ოფიცრები და ეფრეიტორები ჯარის-კაცთა სასწავლებლად, ამიტომ ვისაც სურთ სამსახურის გაგრძელება, მიმართონ ქ. ფოთში პოლკის უფროსს. ჯამაგირი ექნებათ 100 მანეთი თვეში და ყოველივე უფასოდ ისე, როგორც ჯარის კაცთ.

შავი ზღვის სანაპირო რაზმის უფროსი პოლკოვნიკი ჩიქოვანი.

◯ შულავრის სამაზრო კომისარი შუამდგომლობს საგუბერნიო კომისრის წინაშე, რომ ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებანი გადატანილ იქნას ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავრიდან ახალშენ ეკატერინენფელდში.

◯ 1918 წელს, ოქტომბრის 1 შესდგა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეკონომიურ საზოგადოების გამგეობის კრება ბინის შოვნის შესახებ. კრებამ აირჩია კომისია, რომელიც იზრუნებს ბინაზე. გადასწყდა ოქტომბრის 2 დაიწყონ წევრების მიღება ეკონ. საზოგადოებაში. წევრათ შესვლის მსურველთ გამოერთმევათ ჯერ-ჯერობით მარტო საწევრო გადასახადი 5 მანეთი.

◯ ქალაქის გამგეობამ დაადგინა კიდევ ორი ახალი საბაჟო დააწესოს კუკიის სასოფლაოსთან და დიდუბეში, ქალაქში ჩამოტანილ ღვინოზე დადებულ ხარჯის გადასახდელად.

◯ ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა ახალი ნიხრი ელექტრონზე და მომავალ კრებაზე ქალაქის საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად.

◯ საქართველოს რესპუბლიკის საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ წინადადება მისცა საექიმო განყოფილებას: მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ადგილობრივ გაზეთებში არ დაიბეჭდოს არავითარი განცხადებები რეკლამის ხასიათის ახლად გამოგონილ სამედიცინო საშუალების სხვა და სხვა ავადმყოფობის ექიმობის და სხვ. შესახებ, თუ ნებადართული არ იქნება სამედიცინო განყოფილებიდან. საექიმო განყოფილება ამას აცნობინებს შესაფერ განკარგულებისთვის და სთხოვს შედეგი შეატყობინოს ამ განყოფილებას.

---

# უცხოეთი.

ინგლისი. ლონდონელ პოლიციელთა მიერ გამოცხადებული გაფიცვა გრძელდება. გაფიცვაში მონაწილეობს 12 ათასი კაცი. გაფიცულები თხოულობენ ჯამაგირის მომატებას და მათი კავშირის ოფიციალურად აღიარებას.

ამერიკა. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი შემოსავალზე ბაჟის გადიდებისა, რაიც სახელმწიფოს წელიწადში 8 მილიარდ დოლლარს მოუტანს.

ჩინეთი. ჩინეთში აუწერელი ქაოსია გამეფებული. მთელი ტერიტორია ყაჩაღთა ბრბოებით არის მოფენილი. ხმებია, რომ ინგლისი აპირებს თავის ამერიკულ ჯარის გადაყვანას წესიერების აღსადგენათ, რის გამოც იაპონიის პროტესტს ელიან ასეთ ცალმხრივ გამოსვლისათვის.

ჩინეთის განათლების მინისტრს ტან-კანკნიგს ჩინელმა დალაქმა ყელი გამოსჭრა, რომელმაც შემდეგ თავი მოიკლა.

## გამოსადეგი ცნობები

# სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

### კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 | ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | 14 „ |
| თბილისში „ | საღამოს | 5 | „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ | 24 „ |
| თელავში „ | საღამოს | 5 | „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 | „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ | 20 „ |

## განცხადებები

სოფ. საგარეჯოში

ხოლერის გაჩენის გამო

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ როგორც საგარეჯოში ისე მახლობელ სოფლებში აკრძალულია ნახმარ ტანისამოსის, ხალიჩების და სხვა ძველ ნივთების შემოტანა. ვისაც ამგვარი აღმოაჩნდება, ჩამოერთმევა და დაიწვარ იქნება.

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი.

433 10—7

---

ველიამინოვის ქუჩა № 20, ბინა 1

# იყიდება

ხალიჩები—თავრიზის, ქაშანის, ქირმანის, სარუხის, სინასი, მუშკაბათის, გეორავანის, გერიზის, უეზდის. 9—12 საათამდე და 3—6 საათამდე.

6—804—2

---

სტეფანე მიკირტუმოვი ამით აცხადებს, რომ მან

# დაჰკარგა

1) უვადო პასპორტი, 2) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ქაღალდი და მეტრიკული მოწმობა.

3—812—3

---

ს. ფლავისმანის მცხოვრებნი ნიკოლოზ ტატულაშვილი, ალექსი ოქრუაშვილი და მიხეილ ეცადაშვილი აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სამივეს ნაყიდი ჰქონდათ მინდორი და ტყე, სოფ. ფლავისმანში.

822 (3—2)

---

მიხეილ ბონდარი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პიროვნების მოწმობა, მიღებული ამიერ კავკასიის რკინის გზათა სახელმწიფო კონტროლიორისაგან და სთვლის მას გაუქმებულად.

819 (3—2)

---

ანტონ ადოლფის ძე ენდჟეევსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 1. პასპორტი მიღებული ქუთაისის სახაზინო პალატიდან 1918 წ., 2. უნივერსიტეტიდან მიღებული ბილეთი № 225, 1917 წ. თებერვალში, 3. მოწმობა სამხედრო ბეგრისთვის უვარგისობის, 4. მოწმობა მიღებული ციმბირის მე-8 მოწინავე საექიმო სასანიტარო რაზმისა და სხვა ცოტა მნიშვნელოვანი საბუთები.

817 (3—2)

---

მმართველი ბაღდადის სამომრიგებლო უბნისა, ქუთაისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად 1401 მუხ. სამოქალაქო სამსჯავრო წესდებისა, იწვევს დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში ალფეზ ქაიხოსროს ძე ღვინჯილიას მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ თვისი უფლებანი ხსენებულ ღვინჯილიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ მამულზე და ქონებაზე.

553 3—1

---

სიმონ დავითის ძე ქურთიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო ბილეთი. მნახველს სთხოვს გაუგზავნონ შემდეგი მისამართით: კაზბეგროვის ქუჩა № 14.

3—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ენკენ. 9-ს დამტკიცებულია 1918 წ. აგვისტოს 3-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე პეტრეს ძემ და მარიამ (იგივე ვარდო) ხახულის ასულმა ბერძენმა 10000 მან. მიჰყიდეს ანნა და ოლღა სიმონის ასულთ თევდორაძეებს, ლეონტი პეტრეს ძე ჯაკობიას და უკანასკნელის ცოლს მარიამ სიმონის ასულ ჯაკობიას მიწის ნაჭერი შენობებით, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, კაზაკოვის ქ. ზომით 280,57 ოთხ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მან. მთავარი ამონაწერი 50 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. ენკენ. 9-ს.

444 (3—1)

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 31-ს დამტკიცებულია 1918 წ. ივლისის 27-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე დავითის ძე ანდღულაძემ 300 მან. მიჰყიდა იოსებ ბაგრატის ძე ანდღულაძეს მიწის ნაჭერი მდებარე ქ. ქუთაისში, სალორიაში ზომით 82,50 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 13 მან. 30 კ. მთავარი ამონაწერი 2 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ, აგვისტოს 31.

443 (3—1)

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ენკენ. 7 დამტკიცებულია 1918 წ. აგვისტ. 22 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნატალია სტეფანეს ასულმა მაჩალაძემ 2[illegible] მან. მიჰყიდა სერაფიონ ივლიანეს ძე [illegible] ნაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით მდებარე ქ. ქუთაისში, ჰავჰავაძის ქუჩის შესახვევში, ზომით 50 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 112 მან. მთავარი ამონაწერი 14 მან. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. ენკენ. 7.

446 (3—1)

---

ქუთაისის ოქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 30 დამტკიცებულია 1918 წ. აგვისტოს 2-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სოფიო დავითის ასულმა ქუთათელაძემ, ოლღა დავითის ასულმა კოსტავამ და მარგარიტა დავითის ასულმა ჯრუცოვამ 2900 მან. მიჰყიდა პოლოს ოვანეზის ძე აშიანცს მიწის ნაჭერი შენობით, მდებარე ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩაზე, სადუქნე და საეზოვე სიგრძით ქვაფენილიდან დაწყებული სამხრეთიდან ჩრდილოეთით 22 არშ., სიგანით აღმოსავლეთიდან დასავლეთით $7^1/_2$ არშ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1160 მან. მთავარი ამონაწერი 145 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. აგვისტოს 30.

445 (3—1)

---

იმ პირთ ან არა გასაწვევ სათადარიგო ჯარის კაცებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ტეხნიკური ცოდნით და რომელთაც სურთ იმსახურონ სახალხო გვარდიის სამოტოციკლეტო სატყვიისმფრქვეველო რაზმში 250 მან. ჯამაგირით, ტანისამოსით და სასმელ-საჭმელით, შეუძლიან მიმართონ რაზმის კანცელარიაში დილის 11 საათ. დღის 1 საათამდე სამხედრო სასწავლებლის ეზოში (მიხეილის პროსპ. № 148) უკანასკნელ კორპუსში.

821 (2—1)

---

სისხლის სამართლის მე-846, 847. 848 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ მიხეილ გიორგის ძე ტატიანცს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-6 და მე-1451 მუხ. ძალით ტატიანცის ნიშნები არ იციან. ყველა, ვინც იცის სად არის ტატიანცი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ტატიანცის ქონება, ვალდებული არიან შეიტანონ ის საოპეკუნო სამმართველოში.

517 (1—1)